

მხედრობა

ქართველ იუნკერთა კავშირის ორგანო

1930 წ. ი ა ნ ვ ა რ ი პარიზი

შ ი ნ ა ა რ ს ი :

სიკვდილით გამოისყიდა ისტორიული შეცდომა—*.*

საქართველოს გოლგოთა—პოლკ. ირ. ცაგურია

სამხედრო ხელოვნება აზიაში და ევროპაში (დასასრული)—ვ. ნა-ლი

ამირსპასა ლარი და მისი სახელისუფლო—ს. ჭ-ძე

არტილერია, მისი დანიშნულება და გამოყენება თანამედროვე ბრძოლაში—ლ. მ.

მძიმე ტყვიამფრქვევი—არიონი

ფინლანდია—შეიარაღებული ერი—მეთვალყურე

სპორტის საკითხი—ძველი შევარდნელი

ცნობები.

სიკვდილით გამოისყიდა ისტორიული შეცდომა.

საქართველოს სახელმწიფოს გაუქმების შემდეგ ქართული მხედრობა იძულებული შეიქნა შესულიყო რუსულ არმიაში, სადაც ის დიდი ენერგიით შეუდგა მუშაობას რომ სხვებს უკან არ ჩამორჩენოდა და დაეკავებია ერთ-ერთი მოწინავე ადგილი. შესაძლებელია ეს გარემოება საბაბს აძლევდეს ვინმეს იქვი მიიტანოს ქართულ მხედრობაზე და აგრეთვე იფიქროს, რომ ამ გზით ის ღალატობდა თავის სამშობლოს, ვინაიდან მეტად ერთგულობდა და ამავრებდა თავის საკუთარ მტერს—მეფეს და მის შთავრობას, რომელმაც ქურდულად დასჭრა, გაძარცვა საქართველო და შემდეგ მოკვლა მოუხდომა. შეიძლება, მაგრამ ეს არ იქნებოდა მართალი მსჯელობა.

ჯერ კიდევ ადრე—1801 წლამდე გადაწყვეტილი იყო ქართლის ბედი ხოლო ტფილისში რუსის ჯარის შემოსვლის შემდეგ, როდესაც საქართველომ დაინახა რუსეთის ვერაგობა და იარაღს დაავლო ხელი დაკარგული თავისუფლების დასაბრუნებლად, რუსეთმა მას ყელზე ჩექმა დააჭირა და დაუზოგავად ჩაახრჩო მთელი რიგი აჯანყებებისა, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა თვით ეს მხედრობა, ყველაფერი გათავდა. ამ უკანასკნელ გაბრძოლებასთან ერთად დასამარდა საქართველოს ხმლით განთავისუფლების იმედი და ქართული მხედრობის როლიც დასრულდა საქართველოში. ამის შემდეგ უნდოდა თუ არა, უნდა წასულიყო და დაეწყო სა მსახური რუსეთში. რაინდული სულის თვისებები მას ნებას არ აძლევდენ უკან ჩამორჩენილიყო; მონახა გამოსავალი და დაისახა საკუთარი მიზანი, რომ დაწინაურებულიყო და შესათერია ადგილი დაეჭირა. ამის განსახორციელებლად ქართული მხედრობა თუმცა მტრის რიგებში ერთგულად მსახურობდა, მაგრამ მის მიწრაფებას არ შეადგენდა საქართველოს მტრის გამაგრება, არამედ მისი მიზანი იყო, რომ მაღლა დაეჭირა ქართული მხედრობის დროშა, არ წაექცია მისი დიდებული წარსული და რომ არ შეეცახვინა ქართველი მხედრის სახელი მთელს წინა აზიაში ერთ დროს რომ თავ ზარს სცემდა მაჰმადიანთა ლაშქარს. და ეს ისტორიის მიერ დაკისრებული არა სასიამოვნო როლი ქართულ მხედრობამ ბრწყინვალედ შეასრულა რუსულ არმიაში. მხედრული უნარით და ქსევით მიიპყრო მოწინააღმდეგეს ყურადღება და ეს იყო მის ხელში უკანასკნელი კოზირი, რომელსაც მტე-

რს სახეში მიართყაშიდა და მოაგონებდა ქართველი ერის არსებობაზე. თუ ისეთ მოჯადოებულ წრეში მოექცა, რომ ამ უკანასკნელი იმედის შესანა-
 ჩრუნებლად მტერს ემსახურებოდა, ამის მიზეზები უნდა მოიძებნოს ისტო-
 რიაში და თუ ამაში ქართულ მხედრობას ბრალს დასდებენ, ეს იმას ემსგა-
 ვსებოდა, რომ ვინმეს ბრალი დაედვა იმ 142 მილიონი მანეთის საღირაალი
 ოქროსათვის, რადგან ის ძვირფასი იყო, რომელიც გაიტანა ს. ქართველ-
 დან რუსის მთავრობამ 1812 წ-

ჩვენი მხედრობის რუსეთში სხოვრება ეს იყო მე-18 საუკუნის მიწურუ-
 ლში დაწყებული საქართველოს ტრაგედიის ერთი ეპიზოდი. მისი უკანას-
 კნელი მოქმედება გათამაშდა 1918 წელს, როდესაც ეს მხედრობა დაუბრუ-
 ნდა თავის დედა-საქართველოს და მოწყურებული ს ყვარულით მოეხვია
 მშობლიურ მკერდს. როდესაც ისტორიულ მოვლენებმა აზია - ევროპის
 გზა-ჯვარედინზე დააგდო საქართველოს თავისუფლება და ქართველმა ხა-
 ლხმა აღადგინა თავისი უფლება, ქართული მხედრობა დაუბრუნდა მშო-
 ბლიურ კერას და დასდვა თავისი სიცოცხლე სამშობლოს საზღვრებზე მა-
 მა-პაპებისგან შემომტკიცებულ მიწა-წყლის დასაცავად. სიკვდილით გა-
 მოისყიდა ისტორიული შეცდომა. ამის საბუთები? ეს საქართველოში მა-
 თი საფლავებია.

2918 წ. დასრულდა 117-წლიანი საქართველოს მონობის ეპოქა დამა-
 სთან ერთად მოკვდა ქართული მთელი თაობის იდეოლოგია, რომელმაც
 მეორე ბოლოთი გადააბა საქართველო რუსეთზე და 1921 წლიდან დაიწყო
 საქართველომ ახალი სხოვრება; შესდვა ახალ გზაზე, რომლის დასაწყისი
 აღნიშნეს, სხვებთან ერთად. თავისი სიცოცხლის სამსხვერპლად მიტანიო
 რუსეთიდან გამოსულ ქართული მხედრობის საუკეთესო წარმომადგენლე-
 ბმა. ხლო ის მხედრები, რომლებმაც რაინდული კეთილშობილებით შე-
 ასრულეს თავისი მოვალეობა და შემდეგ იძულებული შეიქმნენ დაეტო-
 ვებიათ სამშობლო, აქ უსხოეთში სხოვრების უძნელეს პირობებში განა-
 გრობენ ბრძოლას საქართველოს თავისუფლებისათვის.

საქასრთველს გოლგოთა.

ჩეკა. ¹⁾

ჩეკა არის კოლევიალური ორგანო, შემდგარი რუსეთის ყოველ მხარედან ჩამოსულ უსასტიკეს ჯალათებისაგან. ჩეკის თავმჯდომარე — ებრაელი მოგილიოვსკი საშინელ დზერჟინსკის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი იყო. მოგილიოვსკი ქართველების დიდი მტერი იყო და მისი ბრძანებით დაიხვრიტა ქართველი ერის საუკეთესო ძალები: 200 ქართველი სტუდენტი, 400 მუშა, 1000 ოფიცერი და ინტელიგენტი და 7000 - დეგლესი. მის უახლოეს თანამშემწეებად ითვლებოდნენ სამხრეთ რუსეთში კარგად ცნობილი პანკოროვი და სომეხი ათარბეგოვი.

ამათ უნდამიემატოს ბერია, რომე ღმას დაახვრეტინა ბოლშევიკურ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული 1000 აზერბეიჯანელი გლეხი.

წამება.

რომ ტუსალები აალაპარაკონ, ამისათვის არსებობს ჯალათებისაგან შემდგარი სპეციალური დაწესებულება. რისხვი ამ ჯალათებისა შეზღუდულია. მათში აღსანიშნავი იყვნენ: მოროზი-რუსი, ოგანესოვი დაპეტროსიანი-სომეხი, შულმანი ებრაელი.

თვით ტუსალების მიერ ნაამბობიდან ჩემ მიერ შეკრეფილი ცნობები საკმაო ნათლად გვისურათებს ამ დაწესებულების წესებს და ჩვეულებებს

1923 წ. 21 მაისს დახვრიტეს 15 ქართველი ოფიცერი და მათ რისხვში ჩემი მეგობარი პოლკ. ხიმშიაშვილი. ივნისის შუა რისხვებში მასნობებს, რომ პოლკ. ხიმშიაშვილის ძმას სურს ჩემი ნახვა. დავნიშნეთ პაემანი საამისოდ არჩეულ საიმედო ადგილას. როდესაც დავინახე ის, ოდესღაც სიბოძლით სავსე 22 წლის ახალგაზრდა, ძლივს ვიპანი. მის თვალებში კიდევ შეიძლებოდა ამოეკითხა ადამიანს ვანცდელი წამების ნიშნები.

აი სიტყვა სიტყვით მისი ნაამბობი:

«მე ვიმყოფებოდი სოფ. ფასანაურში და შენ კარგად იცით რა უფროთოვანებით ვმუშაობდი ბოლშევიკური ძალა-უფლების წინააღმდეგ: სა-

1) ბ-ნ პოლკ. ირ. საგურია «საქართველოს გოლგოთა» პირველად მოათავსა ბელგიურ ორკვირიულ ჟურნალში «La Revue Belge» 1926 წ.

მშობლოს სამსახურის სამსხვერპლოზე ახალგაზრდული გატაცებით მივი
 ტანე ჩემი თავი; და ეხლა მხედავ შენს წინაშე მართლფარე ლანდი და
 ვარ! დამიგდე ყური კარგად—მე იმათმა განმათავისუფლეს პირობით. მო-
 როზმა მომსა ორი კვირის ვადა რომ გაეცე შენ. მეშინია რომ, აღარ ვარ
 დარწმუნებული ჩემს გამძლეობაში. არ ვიცი, მეყოფა თუ არა ძალა რომ
 არ გაეხდე მოლაღატე! გამიგე: ჩემი თავისუფლება შენი დატყვევების სა-
 მაგიერია. მოროზმა იცის, რომ შენ საწყალი ჩემი ძმის დიდი მეგობარი
 იყავი, რომ ამისათვის არ უნდა გამიძნეოდეს შენთან ძველი დამოკიდე-
 ბულების აღდგენა და, რომ შემდეგ გადაგემ მას. რა წამება არ გადავიტა-
 ნე! მთელ კვირაობით მტოვებდნენ უსაქმლოდ, მტემდენ მძიმე ჯაჭვებით
 მჩხვლელდენ სადგისებით, წამიყვანდენ სარდაფში და ჩემს თვალ წინ ხვრე
 ტდენ განწირულთ; მორალურად და ფიზიკურად დავიღალე საშინლად და
 მივედი იმ ზომამდე რომ დავსთანხმდი იმათ წინადადებაზე; მაგრამ უშვე-
 ლე თავს გემუდარები; მომეცი საშვალეობა რომ ავიცდინო ამ საშინელ
 პირობის ასრულება და შემდეგ გადავიმალო. »ო, მოიქეც ეგრე ჩემი ძმის
 ხსოვნისათვის, რომელიც შენ ეგრე გიყვარდა.»

მე მას ვურჩიე გამოიჩინოს იმდენი მხეგრება, რომ ვითომ მე დამს-
 დევს და ამით მოატყუოს მტარვალები. მართლაც ეს მან შესძლოდა დღეს
 ის იმყოფება საწლვარგარეთ:

მეორე წამებული არის თავ. ამილახვარი, ცხენოსან ჯარის კაპიტა-
 ნი ჩემს დივიზიონში—შეუდრეკელი მებრძოლი და მოვალეობის ადამიანი
 მან აიტანა ჩეკის წამება ერთი წლის განმავლობაში და დახვრეტილ იქმნა
 და სიკვდილს გმირულად შეხვდა 1924 წ. 1 სექტემბერს. გადმოგცემთ უც-
 ვლელადმის ნაამბობს.

«როდესაც ჩოლოყაშვილმა გამოაცხადა პარტიზანული ბრძოლა, მე
 ამ დროს ვიმყოფებოდი სოფ. ქალაში (გორთან). დამატუსაღეს და წამიყვა
 ნეს ტფილისის ჩეკაში, სადაც დამკითხეს, ვინაიდან წინად მე ვმსახურობდი
 ჩოლოყაშვილის ბრძანების ქვეშ, უთუოდ ჩეკისტებს იმედი ჰქონდათ, რომ
 ჩემგან მიიღებდნენ მათთვის საინტერესო სნობებს. ჩემს სიცოცხლეში პი-
 რველად ვიგრძენი თუ რა შიშმა შეიპყრო ჩემი სხეული, მაგრამ არა იმში
 შმა, რომელსაც სიკვდილის წინ განიცდის კაცი, არამედ გრძნობამ იმუხე
 ში და საზიზღარი მოწინააღმდეგისადმი, რომლის წინაშე სდგახარ და უძ-
 ლური ხარ. ჩამაგდეს საკანში, სადაც მამყოფეს ორი კვირის განმავლობა-
 ში და სადაც ვეებერთელა ვირთხები არღვევდნენ ჩემს უნუგეშო მარტო-
 ბას. გარედ არ გაეყავდით. დამშეული, ჰაერს და სინათლეს მოკლებული,
 განავალის მოშხამულ სუნიტ საგვს საკანში ვატარებდი დღეებს. გამიჩნდა
 სიება; უკვე აღარ ვგრძნობდი შიმშილს, მხოლოდ სუნი მტანჯავდა. სიბნე-
 ლეში მივბარბაცებდი და ხელებით ვშინჯავდი კედლებს რომ სადმე მეკო
 ვნა ჭურჭუტალა, საიდანაც შემეძლებოდა ცოტა სუფთა ჰაერის შესუნთ-
 ქვა. ბოლოს მეუთხმეტე დღეს მოვიდენ ჩემს წასაყვანად; მიმიყვანეს ჯა-

ლათ მორაზთან, რომლის შეხედულება ყოველ ადამიანში იწვევს შიშს და ზარს. მომთხოვა ჩოლოყაშვილთან თანამშრომელ ოფიცრების დასახელება—ვეუთხარი, რომ არავის ვიცნობ თქო.

მორაზმა გასცა ბრძანება რათა ვეწამებოთ. დამაწვინეს ფიქარზე ხელ-ფეხ შებოჩილი; გამხადეს ფეხსამკვლეები; თვით მორაზმა აიღო გრძელი მახათი და შემოიყარა ფრჩხილის ქვეშ. შიმშილობით დასუსტებულმა სხეულმა ვერ გაუძლო ამ რკივილს. დავკარგე გრძნობა; არ მახსოვს რამოხდა შემდეგ, მხოლოდ როდესაც გონს მოვედი, ვიმყოფებოდი ერთს შედარებით სუფთა ოთახში, სადაც იყო განმზადებული კარგი საუზნე. ყოველივე განსდილი ჯერ სიხმარი მეგონა, მაგრამ როდესაც თითისდავხედე ქრუანტელმა გამიარა ტანში.

რამოდენიმე დღის განმავლობაში მივლიდნენ დიდი ყურადღებით, ჩემი მომვლელი მუდამ სდუმდა და კითხვებზე არ მიპასუხებდა.

გამოვკეთდი გვარიანად. ერთ ღამეს სწრაფად გაიღო ჩემი ოთახის კარები, წამოვვარდი თუ არა ლოგინიდან ჩემს წინ გაჩნდა მორაზი. მისი გარეგნული შეხედულება, მისი ლაპარაკი და საერთოდ მთლად ის იყო საზიზღარი. განრისხებული ცხოველიც არ იქნებოდა ისე უღმობელი, როგორც ეს ორფენა მხეცი. ისევ მომთხოვა ოფიცრთა გვარების დასახელება. ვუპასუხე წინანდებურად. აღარ მახსოვს თუ რა ტანჯვა განვიცადე. მახსოვს კი, რომ ჩამსვეს სავარძელში და ვიგრძენი ელექტრონის დენი თუროგორ მწვავდა, მტკენდა სხეულს. ეს ტკივილები აუტანელია — ვიკლანებოდი კონვულსიებში და დავკარგე გრძნობა.

როდესაც გონს მოვედი—ვიწვევი ჩემს ოთახში და ერთი სანიტარი მივლავდა. ახლა მივხვდი, რომ გამოკეთების შემდეგ უფრო საშინელი წამება მელოდა. თავის მოკვლის აზრი გამიჯდა ფიქრში; უმჯობესია სიკვდილი ვინემ კიდევ წამების ატანა; მაგრამ განუწყვეტლივ თვალ-ყურს მადევნებდნენ და შეუქლებელი იყო განზრახვის სისრულეში მოყვანა.

მოვიდა წამების მორიგი დღე. ჩემი სული მივანდებოდა. შემეცვანეს სარდაფში, სადაც შუა ადგილას იდგა ყინულით სავსე კუბო. ჩოლოყაშვილთან კავშირში მყოფ ოფიცრების გვარების დასახელებზე უარი თქმის შემდეგ გამხადეს ტანზე და დამაწვინეს ყინულზე. ვყვიროდი. ვევედრებოდი. ვთხოვდი; მაგრამ იმდენი ძალა მაინც შემრჩა, რომ არავინ გამეცა. შემებრალა ღმერთმა და არ შეერცხვი.

ისევ დამაბრუნეს საკანში და იმავე მზრუნველობით მივლიდნენ. რა გვარ კიდევ უფრო საშინელ წამებას მიმზადებდნენ? ფიქრი, რომ უკვე ძნელი იქნება ჩემთვის მეტის ატანა და რომ ამის გამო შესაძლებელია გავცე ჩემი მეგობრები, უარესად მტკენდა გულს და სულს. ვსთხოვდი ღმერთს რომ მოველინებია ჩემთვის სიკვდილი ამ სირცხვილის თავიდან ასაცილებლად.

ახლა კი მესმის, რომ ტუსადთა საკმარისი რიცხვივერ უძლებსასეთ წამებას და გასცემენ ხოლმე თავიანთ მეგობრებს. გავიგე თუ რაწების პატრონი უნდა იყოს ადამიანი და რა მაგარი ძარღვებია საჭირო რომ არ დაეცე. აო არის საკმარისი გმირობა—საჭიროა წამებულის სულის სიმტკიცე რომ ასცდე მორალურად დასემას ან თვითმკვლელობას.

თან და თან მოვდიოდი ჯანზე და ყოველ დღე მოველოდი ჩემი ჯალათის გამოჩენას. ბოლოს წამიყვანეს მის კაბინეტში. აქ მანწამიკითხა ჩემი განაჩენი.

გადამიწყვიტეს დახვრეტა.

პატიოსან სიტყვას ვიძლევი, ისე ვიგრძენი, რომ თითქოს გადავრჩი რაღაც საწინელებას. გადავისახე პირჯვარი; სიკვდილი, რომელსაც ასე ვნატრობდი დაველოდებოდი მიახლოვდებოდა რომ დავეხსენიამ ჯოჯონეთისაგან სიხარულმა შემბოჭა და უთუოდ მორთმა ცამოიკითხა ჩემს თვალებში. რადგან შემეკითხა მიწეზი.

—ვარ უდნაშაულო, ვუპასუხე მე; დაეიტანჯე ფიზიკურად და ეხლაც ვიტანჯვი მორალურად; თქვენის აზრით კეთილშობილი სული ამდენი საზიზღროების გადატანის შემდეგ არ უნდა დაიჭრას და სიკვდილი თისაგან. არ უნდა ეჩვენოს მას როგორც მხსნელი?

ღამე მოვიდენ ჩემს წასაყვანად. დარაჯებმა შემიკრეს მაგრად ხელფეხი, გამიყვანეს ჩეკის ეზოში, სადაც უკვე შეგრავილი იყვენ ოცამდე—დახვრეტას მისჯილნი. მ თში ვიციანი პოლკ. ბახშიბეკ მაჩაბელი. შევამჩნიე, რომ დანარჩენ ტუსალებს ხელები შებორკილი ჰქონდათ ამერიკული მავთულით; როდესაც ტუსალი სცდილობს ხელების განთავისუფლებას, მავთული როგორც დანა ჩაესობა ხ არსში.

საბარგო ავტომობილი მზად იყო. ჩავყარეს შიდ ვინც როგორ მოხვდა, რომ ქალაქში გავლისას მცხოვრებლებს არ გაეგონათ ტუსალების კენესა, ყვირილი და ლანძღვა-გინება, ავტომობილს გადააფარეს ბრეზენტრი. სამი სხვა საბარგო ავტომობილი ჩეკისტებით მოგვზღვედა უკან.

გაჩერდა ავტომობილი, გადმოვედით. ვიციანთ სოლანლული—ჩვენი უკანასკნელი ტანჯვის ადგილი.

განწირულთათვის სიცოცხლის მოსპობის წესი აგრეთვე დამახასიათებელია.

მორთზი, თგანეზოვი, შულმანი და პეტროსონი დაადებდენ ნაგანს უკანიდან კისერში და ჰკლავდენ ადამიანებს, როგორც რომელიმე სხოველს. ხშირად ხ ვება, რომ ვერ კიდევ სოცხლებს ასაფლავებდენ—მაგალითად მაიორი ჩრდილელი 1923 წ. 21 მაისს.

არასოდეს დამავიწყდება მორთზის სიძულვილით სავესე თვალების გამომეტყველება, როდესაც მან მოჰკლა, იქვე ჩემს გვერდით, სომხის ან-

აღგაზრდა გოგო, რომელიც გორის სიხის საავადმყოფოში როგორც მოწყალეების და ხშირად უმსუბუქებდა მძიმე პირობებს ტუსალებს.

ჩვეოლვერით ხელში მორთხი მიახლოვდება.

— ყოფილთ თავადო, მეტყვი თუ არა ოფიცრების გვარებს...!

არ ვიცი ვისგან ან რანაირად, ვიგრძენი რომ ჩავვარდი თხრილში. არავითარი ტკივილი არ მიგრძნია; არც ტყვიით დაჭრის დროს ჩვეულებრივი გაწევა და მანქანადამე არც ტყვია მომხვედრია...!

ჩეკისრებმა ამომიყვანეს თხრილიდან და ჩამაგდეს უკან მიმავალ ავტომობილში.

რისთვის არ მხვდა დანარჩენების ბედი და რას მიმზადებდნენ კიდევ? გავიდა ერთი კვირა.

გაჩმისხადეს, რომ მორთხი მიძახის თავის კაბინეტში. წამიყვანეს. და როგორი გაკვირვებული დავრჩი, როდესაც გამომიძახადა რომ თავისუფალი ვიყავი; პირობით კი— არავისათვის შეამბნა თუ რა გადამხდა ჩეკაში. — იცოდეთ, დასძინა მან, რომ მას ვინც იტანს ჩვენს გამოსცდას ყოველთვის ვაძნადებთ უდანაშაულოდ—.

მომეა წინადადება გავმხდარვიყავი ჩეკის საიდუმლო თანამშრომელი. უარი განვატახადე მომიზნებით, რომ სოფელში ვცხოვრობ და არავითარი კავშირი არ მაქვს ოფიცრებთან».

(შ. ი.)

პოლკ. ირ. საგუტრია.

სამხედრო ხელოვნება აზიაში და ევროპაში.

დასასრული*)

დავით აღმაშენებლის ეს მოქმედება არ არის გამონაკლისი აზიის სამხედრო ისტორიაში რუსეთის დაპყრობის დროს, მონღოლთა ლაშქარი წინ მიიწევდა სამი დიდი პარალელურ სვეტიტ. მიუხედავად იმისა, რომ წინ-სვლა სწარმოებდა ბრძოლით, მიუხედავად დიდი მანძილისა ამ სვეტიტთა შუა რუსეთის დასავლეთ საზღვრებზე და აღნიშნულ სიმაღლეზე, გა-

*) იხ. ქურ. «მხედარი»-ს 1 და 2 N-რი.


მოვიდნენ ერთდროულად დანიშნულ დროზედ. მხოლოდ ერთმა მათგანმა დაიგვიანა სულ რამოდენიმე საათით, არა უმეტესს ექვსისა.

რა სუსტნი და უმწიონი იყვნენ ამავე რუსეთში 1812 წ. მონღოლების ექვსი საუკუნის შემდეგ—ფრანგები, რომელთაც თავიანთი სამხედრო ვარჯისობის შეუდარებელი სიმაღლე ევროპის მხედრობასთან შედარებით, სხადპყვეს ფაქტებით; ფაქტებით რომელნიც ევროპას უღირდათ იტალიის 25 წლიან სისხლიან პერიოდათ და მთელ რიგ სატახტო ქალაქთა შერაცხენად, რა ნაკლებად იცნობდნენ რუსეთს ფრანგები, ის ფრანგები ორჯერ მოკავშირენი იყვნენ ამ რუსებისა და რომელნიც ეომებოდნენ ამ რუსეთს იტალიიდან მოსკოვამდე 1798 წლიდან 1812-დე. კი, ფრანგები უფრო ნაკლებად იცნობდნენ ევროპის ამ სახელმწიფოს ვიდრე ისინი, რომელნიც ტიბეტის მკერდიდან დაიძრნენ. კი! აქაც არის მთელი რიგი გამამართლებელი საბუთების. განვიხილოთ იმათგანი, რომელნიც უფრო ხშირად ისმის სამხედრო ლიტერატურაში: 1. ნაპოლეონი არ იცნობდა რუსეთს; 2. მანძილი და ლაშქრის რიცხვი, აღმატებოდა მაშინდელ ხანის შესაძლებლობას; 3. ბუნების თვისებანი. აუსტერლიცის, ეილაუს, პულტუსკის და ფრიდლანდის ბრძოლების ავტორს, ტიტზეტის და ერფურტის ხელშეკრულებათა მწარმოებელს, უფრო უკეთესი გაგება ევალებოდა რუსეთისა, ვიდრე ჩინგიზ-ხანს, ჩეპეს, სუბუდაის ან ბატუს. რიცხვზედ და მანძილზედ მითითება მე-19 საუკუნეში, როცა მეცამეტე საუკუნეში უროო მეტ რიცხვით და გზათა უფრო სუდ მდგომარეობის დროს, მონგოლებმა საათობლივ სისუსტით შეასრულეს თავიანთი გეგმა, ყოვლად შეუძლებელია და თვით ის ფაქტი, რომ ეს საბუთები ევროპის მხედრობის თვალზარისით გამამართლებელ ღირსებით არაინ მოსილნი, თავის თავად ჰლადადებს უკანასკნელის განვითარების სამაღლეს. რუსეთის ბუნება მეცამეტე საუკუნიდან, ძალიან ბევრით არ განსხვავდებოდა მეცხრამეტე საუკუნის ბუნებიდან, მაგრამ ამ მოვლენას არას დროს არ ჩაუყენებია უმწიო მდგომარეობაში არც ერთი მონღოლთა სარდალი.

მეცამეტე და მეთოთხმეტე საუკუნეებში, მაშინდელ უგზობის მიუხედავად, მონღოლთა ორგანიზაცია ძლიერ დიდის სიადვილით ხმარობდა დიდ მასებს ლაშქრისას და ყოველ საშუალებით ადიდებდნენ თავიანთ ჯარს; ყველა დაპყრობილ ქვეყნებიდან გაჰყავდათ ნაწილები ჯარის შესავსებათ; ქართველებიც, როგორც სხვები იბრძოდნენ მათ ჯარში და ამიტომ მონღოლების ბატონობის ხანაში, საქართველომ მიიღო უკონტროლო ბატონობის უფლება პალესტინაში, როგორც ქრისტიანთა წმინდა ქვეყანაში... მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც ევროპაში უკვე რკინის გზები მოიპოვებოდა და «ახალ ომის დებულებანი» უკვე ყალიბდებოდნენ, ევროპის მხედრობაში ბატონობდა აზრი, რომ ჯარის რიცხობრივი სიმრავლე მხოლოდ განსაზღვრულ რიცხვამდეა დადებითი მოვლენა, რის შემდეგაც რიცხვის სიმრავლე უარყოფით შედეგებს იძლევა. ე. ი. ვერც ამ მხრივ დრეკად მოხმარებას ახერხებდა ევროპა იმ დროს, როდესაც უკვე მას რკი-

ნის გზები და ტელეგრაფი მოეპოვებოდა.

შემდეგი კამპანია წარმოებული საქართველოში, რომელიც ჩვენთვის საინტერესოა იქნება, არის დიდი შანქორის ომი, წარმოებული დავით აღმაშენებლის შვილის-შვილის გიორგი მეფის მიერ.



საქართველოს დასაპყრობად გამოემართა აბუ-ბაქარი; მოდიოდა დიდი ლაშქრით ადერბეიჯანიდან მტკვრის მარჯვენა ნაპირით. მის დასახვედრათ გაემართა მეფე გიორგი და დაბანაკდა შანქორთან. დაბანაკდა ყარაბაღის მთის კალთებზედ ძველი ქართული წყობით. შეეფარა მთებს და ტფილისის გზა დასტოვა სრულიად ღია. მეფე არ დადგა რაქისსპაში, როგორც ეს იყო მიღებული ჩვეულებრივ, არამედ მარჯვნიდან მიმსვლელ მსემელთა სპაში. აბუ-ბაქარი ღია გზით ტფილისისაკენ მიეშურებოდა და აქ ეკვეთა მას გიორგი მარცხენა ფრთიდან, ერთდროულად მარჯვნიდან გამომსვლელ მსემელთა სპამ უკანიდან შემოუარა. მტერი უკუგდებულ იქნა მტკვარზედ და მოსპობილი.

რის მჩვენებელია ეს კამპანია? დავითის შვილის შვილი, წარმომადგენელი მესამე თაობის, საუცხოვოდ იცნობს ქართულ სარდლობის დავითის ხანის მოქმედებათა სტილს და იცნობს არა ზერელედ ანეკდოტიურ გადმოცემით, არამედ მთელის შეგნებით ხმარობს მას დახმარობს არაუხეშ შაბლონით, არამედ ვითარების სრულის შეგნებით და გათვალისწინებით. აწარმოებს მოგერიებას და იცავს სატახტო ქალაქს, მაგრამ ეს არ აძულებს მას. ევროპიულად მასზედ კონვენუსიურად ზურგის მიყუდებას და ტფილისის კედლების ფრჩხილებით მოგერიებას; არა ამას ქართული ლაშქარი მხოლოდ ბრძოლის წაგების შემდეგ მიმართავს. ვერ ესმის გიორგის და ვერ წარმოუდგენია პასიური მოგერიება; მიუხედავად მტრის რიცხობრივ დიდი უპირატესობისა, იგი მხოლოდ აქტიურ მოგერიებას აწარმოებს; ტფილისს სტოვებს და მიდის წინ მტრის შესახვედრად; თვით გზასაც ტფილისისაკენ მტრის სრულიად ღიად უტოვებს და თავის სატახტო ქალაქს, მხოლოდ საშუალოდ, მტრის ფრთის დამუქრებით იცავს.

ეს მაგალითი საუცხოოდ გვიჩვენებს აზიის სარდლობის ძლიერ დირსებას ჯერ კიდევ 11-12 საუკუნეებში ამ მაგალითის სუსტ ანალოგიას ევროპის სამხედრო ისტორია მხოლოდ ნაპოლეონის ხანაში მოგვცემს. ნახმარი იქნება აგრეთვე ტანენტერგის ბრძოლაში 1914 წელს, სადაც გერბანულ. დივიზიამ რუსებს გზა ღია დაუტოვა, მაგრამ ფრთაზე დაუდგა. თვით ნაპოლეონმაც ძლიერ კარგად ისოდა ევროპის სარდლობის კრიტიკული ჩამოკიდება გეოგრაფიულ ელემენტებზე და მტრის სატახტო ქალაქის დამუქრებით თავზარსა სცემდა მას და აიძულებდა ხოლმე ცუდპირობებში დიდი გადამწყვეტი ბრძოლა მიეღო. გიორგი მეფე ტფილისის და ტფილისის გზას დაე სტოვებს, მას არ ესმის ომის რამოდენიმე გამოურკვეველ ბრძოლით გათამაშება, როგორც ეს რამოდენიმე საუკუნის სიგრძეზედ ხდება ევროპაში. მისი მიზანი ერთია: მტრის მოსახალი ძალის მოსპობა. სრულიად აღწევს მას კიდევ; ეკვეთა მის სუსტ ადგილს—ფრთას გადაუჭრა დასახევი გზა და უკუ აგლო მტკვარზედ. მტერი მოსპობილია. ჯერ დღესაც არ შეიძლება მოთხოვნა ევროპის ყველა სარდლისაგან ესეთი თავისუფლების, მოქმედების და გონების გეოგრაფიულ პუნქტთა გავლენისაგან.

გიორგი მეფე არ დგება რაქის სპაში, როგორც ეს იყო მიღებული — დგება იქ, სადაც მას ეგულება ბრძოლის მთავარი მნიშვნელოვანი ალაგი, საიდანაც შეუძლიან ყველაზედ კარგად ბრძოლის მართვა და სადაც უნდა გათამაშდეს ბრძოლის მთავარი აქტი; დგება მარჯვნიდან მიმსვლელ მეცემელთა რაზმში, რომელთაც გზა უნდა გადაუჭრან მტერს და რომელთაც შეხვდით მთავარი ამოცანა. ეს ის ღირსებაა სარდლის, რომელიც არ ესმოდათ და ქრონიკულად აკლდათ გერმანელთა უდიდეს სარდლებს მოლტკეთა ოჯახის სერიიდან. როგორც უფროსი მოლტკე, ისე უკანასკნელი ომის ფაქტიური მთავარსარდალი მოლტკე, მუდამ ისეთს მანძილზედ იმყოფებოდნენ ლაშქრიდან, რომ ბრძოლას ვერ ხელომდვანელობდნენ დამოვლენანი მთავარსარდლის გადაწყვეტილებათა და გავლენის გარეშე, საკუთარ ინერციის ძალით და ხელქვეით სარდალთა ინიციატივის ამარად ვითარდებოდნენ ხოლმე. (იხ. 1870-71წ. და 1914წ.)

გარდა ამისა, ეს ბრძოლა ააშკარავებს ქართულ წყობილების დიდ ღირსებას და დრეკადობას. ესეთ რთულ ხერხისათვის, როგორც მტრის გვერდიდან კვეთება და უკანიდან შემოვლა არის, არ არის საჭიროთარანგეულებრივ მოძრაობათა და გადაჯგუფებათა მოწყობა; არა, ჯარი დგება მხოლოდ ტფილისის გზს სამხრეთით, ხოლო თვით ბრძოლის დროს საკმარისია ყველა ნაწილის ჩვეულებრივი წინსვლა, ვინაიდან მთელი მანევრი დგით წყობალებიდან თავის თავად გამომდინარეობს.

ეს ხერხი, რასაკვირველია, ფუჟად ჩაივლიდა მტერი რომსხვაგზით წამოსულიყო, მაგალითად მტკვარის მარსხენა ნაპირით, მაშასადამე მტრის განზრახვანი კარგად უნდა ყოფილიყვენ ცნობილნი ე. ი. არც დაზვერვა უნდა მდგარიყო დაბალ საფეხურზედ.

გხედავთ, რომ მეფე გიორგი, დავით აღმაშენებლის შვილის შვილი როგორც აღნიშნული იყო, მოქმედებს ქართველ მხედართა სტილით, დავითის ხანის ხერხთა დაწესებითა სრულის შეგნებით, ყოველგვარ შაბლონს მოკლებული, მოქმედობს ყველა იმ სვლილებათა მოხმარებით, რომელსაც მდგომარეობათა ვითარება უკარნახებს, მაშ დავითს. ს. ვა სარდლების დაგვარად თავის გამარჯვებათა თილისმა სამარეში თან არ ჩაუტანია და ეს ფაქტი მოწმობს, რომ უკვე მაშინ საქართველში სამხედრო მეცნიერება არსებობდა და მისი შესწავლა და შეგნება შესაძლებელი ყოფილა.

რა დაგვიანებით მიაღწია ევროპამ ამ სიმაღლეს და როდის მოახერხა მან სამხედრო მეცნიერების შესასწავლებელ საგნად გადაქცევა, ეს ყოველ მხედარმა იცის.

თუ გადავავლებთ თვალს ყველა ამ მოქმედებებს დავინახავთ, რომ ქართული სარდლობა საუბრძოლად იცნობდა და დიდის სიფაქიზით იყენებდა იმ დებულებებს ბრძოლის წარმოებისა, რომელნიც მუდმივნი არიან და დღესაც ურყევლად მეფობენ ბრძოლის ველზედ:

1. ძალთა ყაირათი, რომელიც მოითხოვს ყველა ძალების შეკრფას და უპარატესობის შექმნა იქ, სადაც ბრძოლის ბედი სწყდება და მთავარი მოქმედება სწარმოებს.
2. მოქმედების მოულოდნელობა, რომელიც მტერს თავნარსა სძევს და ართმევს შესაძლებლობას თავის რიცხვის დასაბრძოლო საშუალებათა გამოყენებას.
3. უზრუნველყოფა, რომელიც იძლევა მოქმედების თავისუფლებას და შეუძლებელყოფს მტრის მოქმედებათა მოულოდნელობას.

ამ დებულებათა ყველა მხარეებს ქართველთ სარდლობა უაღრესად იყენებს: ყველა ბრძოლას მთელი თავისი ძალებით აწარმოებენ, რომელნიც მთელი შემადგენლობით ერთ ბრძოლის ველზედ იმყოფებიან; მათი მოქმედებანი მტრისათვის მუდამ მოულოდნელია, დიდი სისწრაფის და საიდუმლოების დასვის წყალობით: ხოლო, მიღებული საბრძოლო წყობა საუბრძოლად უზრუნველყოფს ღრმად მოწყობილ ლაშქარს; გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ არც ერთ კომპანიაში, თუმცა მუდამ მოგერიებას აწარმოებდა, ქართველი სარდლობა ინიციატივას ხელიდან არ უშვებს და ყველა ბრძოლა ქართულ სარდლობის კარნახით ხდება.

ეს დებულებანი დღესაც ურყევლად განაგებენ ბრძოლის ბედს და მიუხედავად თავიანთი სიმარტივისა, არ ითქმის რომ ყოველ სარდალს ესმოდა მათი მნიშვნელობა და შეეძლოს მათი სისრულეში მოყვანა. ამ დებულებათა დღევანდელი რეალური სახე, რასაკვირველია სხვანაირად გამოიყურება, ვიდრე ეს მე 11 და 12 საუკუნეებში, ისევე როგორც ყველა საუკუნეებში თავისი თანამედროვე პირობებზე: ს მიერ იყო ხოლმე ნაკარნახევი;

მაგრამ მათი შინაარსი უცვლელია და ის სარდალი, რომელიც ვერ მოახერხებს მათ თანამედროვე სახით განხორციელებას—ვერ იხილავს გამარჯვებას. ამ დებულებათა ისეთ ელასტიურ გამოყენებას და სრულ ამოწურვას, რომლის მაგალითსაც მე-11-12 საუკუნის ქართული სარდლობა იძლევა, ვეროპის სამხედრო ისტორიაში, თითქმის, რომ ვერ ვნახავთ. ყველანაირად ამასთან ნაპოლეონი მივიდა, მაგრამ ამის ტექნიკურ შესრულებაში ქართველ სარდლობაზედ კარგა დაბლა იდგა. იგი თითონვე აღიარებს, რომ მას ვერ შეეძლო დაშორებულ ნაწილთა ერთს ბრძოლის ველზედ, მოსაზრებულ მანევრის თანახმად ამუშავება, თუ უკსნასკნელი ბრძოლის წინ არ შეაერთა; ქართველ სარდლობისთვის კი ეს არავითარ შეუძლებლობას არ წარმოადგენდა. დავით აღმაშენებლის ხანას ოქროს ხანა მოჰყვა, რომელსაც საძირკველი მილიტარულ ძლიერებამ ჩუყარა და რომელიც მხედრობისათვისაც ოქროს ხანა იყო.

საქართველოს უკანასკნელი სარდალი, აზიის სტილზედ აღზრდილი, მეფე ერეკლე იყო. ამ პიროვნების სათანადო შეფასებისათვის უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს თვით ერეკლეს პირადი ღირსების გარდა. არავითარი ძლიერების არგუმენტიარ მოეპოვებოდა. არს ნიადავი განუმზადა არავინ, ერეკლეს მომავლისათვის, არც თანამშრომელი ჰყავდა მას სამეფო ოჯახში თავის შესაფერის ღირსებისა და არც სათანადო მეგობიდრე, მისი საქმის გასაგრძობათ. თვით საქართველოც არ იდგა აღორძინების გზაზედ; აწიოკებული და გაწეწილი განისპიდა თავის მუდმივ ტრალედიას, რომელიც მისთვის მე-15 საუკუნის დანიწყო. ამისდა მიუხედავად ორიოდ სულ მიღეულ მაზრიდან შეჰქმნა მან სახელმწიფო, რომლისათაც შიშის ზარი დასცა თავის მახლობელ აღმოსავლეთს. საქართველოს მაშინდელი მთელი ძლიერება მხოლოდ ერეკლეს იყო დაყრდნობილი და მისი დაბერება დაუძღურებასთან ერთად, ქართლის კნინდებოდა და ჰქრებოდა. მთელი ეს ხანა ერეკლეს შექმნილი იყო, რომელიც მიუხედავად გარეგან მტრებთან განუწყვეტელ ომებს წარმოებისა და შინაურ ანტირიგებთან ბრძოლისა—შინაგან რეფორმებსაც ამზადებდა. დიდ ყურადღებას აქცევდა განათლების წინ წაწევას, მან დაიწყო საქართველოში პირველი მოსამზადებელი მუშაობა გლეხობის გასათავისუფლებისათვის და მისივე ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა საქართველოს მეფეების და მთავართა კავშირის შესაკვრელად. (ესკავშირი დადებულ იქმნა და დაახლოვებით საქართველოს კონფედერაციას წარმოადგენდა). ვინ უწყობდა ამაში ხელს? ქართლის და კახეთის შეერთების წინააღმდეგ. შეთქმულობით მიიღო პასუხი, რომელთანაც იარაღით ბრძოლა მოუხდა. რუსეთის კარბუსებში აღზრდილი ბატონიშვილები, რუსეთის იანიჩარები გულმოდგინე ემისრები იყვნენ, საქართველოს არც ერთი მათგანი არ გამოსდგომია და საქართველოსათვის მუშაობას არა ჰკადრებულდნენ. ერთი მათგანი პაატი ერეკლეს წინააღმდეგ დიდის თავგამოდებით მუშაობდა და თავის საქმიელით აიძულა ერეკლე, რომ სიკვდილით

დაესაჯა. ყველა ამის და მიუხედავად საქართველოს უკანასკნელი პერიოდი, ერეკლემ ლამაზ ეპოქად აქცია. ერეკლე იყო პიროვნება, რომლის და გვარის კაობრიობას ყოველ საუკუნეში არ მოეპოვება.

გავარჩიოთ მისი უკანასკნელი კომპანია, რომელიც მან წააგო, რო მელმაც მთელი კავკასიის ბედი უკუღმა დაატრიალა, თავისი საშინელი მნიშვნელობით და, რომელიც ყველამ კარგად ვიცით.

ოთხმოცი წლის მოხუცებულ ერეკლეს, ომი მოუმზადებელს დაატყდა თავზე, აღამაჰმად ხანი, რომ 60 ათასიანი ჯარით ტფილისს მოადგა, ერეკლეს მხილოდ 5 ათასი კაცი ჰყავდა. ტფილისი მაშინ მთელ აზიაში მიუდგომელ სიხედ იყო სწობილი. ამის და მიუხედავად, ოთხმოცი წლის მოხუცებული სარდალი, გავიდა ხუთი ათასი კაცით და სამომც ათასიან მტრის ლაშქარს ველზედ დაუხვდა, ამ ბრძოლაში ერეკლემ ვერ გაიმარჯვა, მაგრამ არც დამარცხებული იქმნა. ქართველთა ორი ათასს დანაკარგს სპარსელთა 13 ათასი უდრიდა და ერეკლემ ბრძოლის ველი შეივრჩინა. ბრძოლა ძლიერ მწვავე იყო, ერეკლეს პირად იერიშმა, შაჰის კარავამდე მიადწია, ხლოთ თვით ერეკლე ტყვეობას შვილის შვილმა გადაარჩინა. ღამით ქართველთ ლაშქარმა მტრის ყოველგვარ ზეგავლენის გარეშე დაიხია და ტფილისის სიხეში შემოვიდა. აღამაჰმად ხანმა ტფილისს ალყა ბემოარტყა, მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ აიყარა და სპარსეთს გაეშურა. ამის შემდეგ ღალატით სიხის კარი გაუღეს, დააბრუნეს და ტფილისში შემოიყვანეს. თვით ქალაქის სპარსელებს ბრძოლით უხდებოდათ თითოეულ სახლის აღება, რამაც იმსხვერპლა ტფილისის ისტორიულა განძეულობა ერეკლე მთაში მიჰყავდათ, რომ მოხენდა და დაიხანა ტფილისი აღში გახვეული, შემოატრიალა სხენი და ქალაქისკენ გამობრუნდა: «დეე, მეც იქ მოვკვდე და მტრის ზეიმი სრული იყოს»ო. უახლოესმა მთიულმა, აღვირსხელი წაავლო და დამარცხებული ღომი ძალით გაიტაცეს მტრის ბრწყალიებიდან. აი, როგორ ესმოდათ აზიის სარდლებს სიმაგრეების მნიშვნელობა. მტრის ძალა კარგად იცოდა ერეკლემ. ქართველთა პატარა რაზმი, სულ ოციოდე კაცისაგან შემდგარი, ჯერ ისევ შუგში იკვეთა სპარსელებს. ერეკლემ იცოდა დაახლოებით მტრის რიცხვი, მას მხოლოდ ხუთი ათასი კაცი ჰყავდა. მაგრამ ამის და მიუხედავად მტერს ველზედ დაუხვდა და სანამ სულ უკანასკნელი ილუზიის ქონა შეიძლებოდა გამარჯვების მოლოებისა, ერეკლე არ უშვებს ხელიდან ინიციატივას და ომის ბედის გადაწყვეტას საველე ბრძოლაში ეძებს. რა კონტრასტს წარმოადგენს ამ სარდლის ღირსება ვეროპის მეცხრამეტე საუკუნის სარდლებთან შედარებთ. საფრანგეთი სდულდა გერმანიისადმი ნაპოლეონის ხანის შურისძიების სურვილით დამისი დიდების შერავადედი, თვალებს უნთებდა ფრანგების ჯარისკაცს. «სადა მამამ გადმოლახა რენი, შვილიც იქვე გადმოვა და ბერლინს მიადგება»ო სწერდა ფრანგული პრესა 1870 წლის ომის რამოდენიმე წლის წინ. ფრანგების ჯარისკაცი ღირსებით გერმანელებზე მაღლა იდგა და რიცხვით განსხვავებაც არ იყო. და ამ აღფრთოვანების გასანაღდებლად,

ფრანგულსარდლობამ უპასუხა: «წინ და წინ ამორჩეულ მაგარ პოზიცი-
ებზედ მოგერიების გეგმით». ამით უნდოდათ ომის მოგება.

რათ წაავო საქართველომ ეს ომი? იმიტომ, რომ საქართველოს სუ-
ლი ერეკლე იყო და მის გარეშე არასფერი მოეპოვებოდა; უკანასკნელი კი
ოთხმოცო წლის მოხუცი იყო, მისი ჩვიდმეტამდე მემკვიდრე და ტახტის
მადიებელი საქართველოსათვის ჩვიდმეტჯერ გამრავლებული უბედურება
იყო, რომელსაც ზედ ეკატერინეს მაგალითით აგზნებულ დედოფლის გა-
აფრთებული ინტრიგები ემატებოდა. ყველა ესენი საკუთარ საგარეო პო-
ლიტიკას აწარმოებდნენ უსხო ერებთან და სპარსთა შემდსეგა ზოგს არა
სჯეროდა და ზოგს კი უხაროდა კიდევ. რომ ამ ომის და მთელი კავკასი-
ონის ბედი სულ სხვა ყოფილიყო, საჭირო იყო რომ ერეკლე ოციოდე წლ
ით უმსროსი ყოფილიყო. სასახლის ინტრიგებს მოსრესდა, საკუთარ ოჯა
ხს მორჩილებაში დაიკავებდა. ერეკლემ თავიდანვე იცოდა, რომ საქართვე-
ლოს გაერთიანების პროცესს სპარსეთი გულგრილად ვერ შეხედავდა და
მასთან ომს მოელოდა. კანეთში შეგროვილი ჯარი ომში მონაწილეობას
მიიღებდა და ბატონიშვილი ურჩობას ვერ გაუბედავდა. ერეკლე მტერს
კრწანისის ველამდე არ დაუტოლდა, აზატ-ხანის დიდ ლაშქარს იგი ერევა-
ნთან დაუხვდა და აღამაჰმად ხანს, რომ საქართველოს საზღვრებზედ სადმე
შეკში დახვედროდა, ამით იმდენ დროს მოიგებდა, რომ მას მთელი საქა-
რთველოს ჯარი მოეშველებოდა, დასავლეთ საქართველოდან გამოგზავნილ
ლაშქარს ტფილისის დასემის სწობამ ლიხის გადმოღმა მოასწრო. თამარ
მეფის შემდეგ; ეს პირველი ომი იქნებოდა რომელშიაც მთელი საქართვე-
ლოს ლაშქარი მიიღებდა მონაწილეობას და ეს ომი საქართველოს მოუ-
ტანდა იმას, რასაც ბისმარკმა 1870-71 წლის ომით მიაღწია. ეს იყო ერე-
კლეს სურვილი, მაგრამ ბედის სიმწარემ დაარწმუნა იგი, რომ საქართვე-
ლოში ამ აზროვნების სიმაღლეზედ მის გარდა არავინ იდგა და მისი გა-
ერთიანება გარეშე ძალის დაუხმარებლოდ შეუძლებელი იყო. სამხრეთის
აგრესიულ მეზობე ჟთა მოსაგერებლად და საქართველოს გაერთიანებისთ-
ვის მყუდრო ხანის შესაქმნელად, ჩრდილოეთისკენ იბრუნა პირი.

მაგრამ მოსტყუვდა და ამ შეტდომის სიძიძე მისი უახლოესმა თა-
ობაშვე იგროდა და მწარედ შეებრძოლა მის შედეგებს; ეს იყო უკანასკნე-
ლი გმინვა ჭადარა კავკასიონის, რომელიც მან შამილის სარდ ჯობითალ-
მოთქვა და რომლითაც სხადპყო ის ფაქტი, რომ კავკასიონისათვის არა-
ვითარ გარეშე ძალას არც სამხრეთიდან და არც ჩრდილოეთიდან ბედნიე-
რების მოტანა არ შეუძლია.

რომ დავანებთ თავი თვითეულ სოფლის და ქოხის გააფრთებულ
მოგერიებას რუსეთის ბატონობისაგან, თითქმის სამოცწლიან ომის განმა-
ვლობაში შამილის სარდლობის დარსებათა შესაფასებლად კმარა ღენე-
რალ გრებეს ლაშქრის მოსპობა და ის ფაქტი, რომ ღენერალი ვორონსო
ვი, რომელიც კრაონის ბრძოლის სახელით თავის თავს ნაპოლეონის და-

მმარსხებლად სთვლიდა (და მაშასადამე უკეთეს სარდალათ), მთელი თავი სი ჯარით ძლივს გადაარჩინეს შამილის ტყვეობიდან.

შამილი მარტო ჯარის სარდალიარ იყო, იგი საერთოდ მთელიერის წინამძღოლი იყო და ეს გარემოება აძლევდა მას ბრძოლის უკანასკნელ ვაზნამდე წარმოების საშუალებას. როცა მას გუნების მთაზედ თავის უკანასკნელ ბუდეში შემოარტყეს ალყა და რუსებმა მოლაპარაკება დაუწყეს მისი პასუხი ძლიერ ნათელი იყო: «გუნები მაღალი მთაა. მე ზედ ვდევვარ და ჩემს ზევით მხოლოდ ალახია, ვქვით რუსი. დეე, იერიში მოიტანოს»-ო

რა როლი ითამაშა ისტორიაში სამხედრო ხელოვნების მაღალ შეგნებამ? ამის მაგალითის პოლონეთის ისტორია იძლევა, რომელსაც ერთი დამახასიათებელი ხაზი აქვს: ერთი სამნეო სახელმწიფოებრივი წესწყობილებით: წესწყობილებით, რომელიც არ აძლევს მას საშუალებას მუდმივ პოლიტიკურ ხაზის აღებისა და რაიმე მიმართულებით სისტემატიური პოლიტიკის წარმოებისა; წესწყობილება, რომელიც არ იძლეოდა საშუალებას ისეთი და იმდენი ჯარი ყოლოდა, როგორც ამ სახელმწიფოს შეეძლო, და არ იძლეოდა საშუალებას არც ერთი გამარჯვების გამოყენებისას; ერთი რომელსაც აუარებელი ბრძოლა აქვს თავის ისტორიაში ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრებული, მაგრამ არც ერთი ომი საბოლოო გამარჯვებით არ გაუთავებია; ერთი რომელიც იმყოფებოდა ორ დიდექსპანიულ ორგანიზმის შუა: რუსეთის და გერმანიის; ყველა ამის და მიუხედავად, ამ ერმა გასძლო რამოდენიმე საუკუნით მეტი, ვიდრე ამ პირობებში სხვარომელიმე ერთი გასძლებდა. და ეს მხოლოდ და მხოლოდ პოლონეთის სარდალობის მაღალ ღირსების შედეგი იყო, რომელიც აღიზარდა აღმოსავლეთთან, ყირიმის თათრებთან და ოსმალეთთან ბრძოლის ტრადიციებზედ. სწორედ მაშინ, როდესაც პოლონეთმა თავისი სარდალობა ტრადიციებზედ ხაზი ქესწყვიტა და დასავლეთის აღზრდაზედ გადავიდა, მიუხედავად იმისა რომ მისი სარდალები ევროპის ომის ღმერთის საკუთრებულად იზრდებოდნენ, ხოლო პოლონელი ჯარის-კაცი მთელ ევროპას მადრიდიდან დაწყებული მოსკოვამდე საკუთარ ნაბიჯით ზომავდა.... სწორედ მაშინ განისადა პოლონეთმა უდიდესი ტრადიცია. 1830-31 წელს, როდესაც პოლონეთის მხოლოდ ერთხელ ჰყავდარიგიანი ჯარი, ჯარი რომელზედაც უკეთესი პოლონეთს არასდროს არ ენახა და როდესაც მტრისადმი ძალთა განწყობილება არას დროს არ ყოფილა პოლონეთისათვის ეს ხელსაყრელი.... სწორედ მაშინ დააკლდა პოლონეთს სარდალი და ეს საუკეთესო ბრძოლის მანქანა უწინამძღლოდ იყო, რის გამოც ბრძოლის ბუნების ნორმალურ წესით დაიმსხვრა, ვინაიდან ჯარის მაღალი ღირსება სარდალის ნაკლებოვანებებს ვერას დროს ვერ შეავსებს, თუმცა წინაუკმოდ კი ხშირად შეიძლება მოხდეს. ეს მოვლენა პოლონეთს საშინელ კატასტროფად დაატყდა და 88 წლიან მონობად უღირდა დასავლეთმა მასთვის მოსჭრა თავისი შარავანდელით, მაგრამ სარდალი ვერ აღუზარდა. ნაპოლეონის ღენერლები იმპერატორის სხივებს, თუ გინდ ეს ნიკოლოზ I

ყოფილიყო, თვალს ვერ უსწორებდნენ, ხოლო ქულკეცკებს და ხოდკე-
 ვიჩებს ვერავითარი ავტორიტეტის ფირმანი ვერართმევდა სურვილს მტე-
 რთან გასწორებისას, რა გინდ სუდ ძალთა განწყობილებით არ ყოფილი-
 ყო ეს.

მაშ თუ ესე იყო და აზიის სამხედრო ხელოვნება ესე მალა იდგა,
 რათ გამარჯვა ვეროპამ და საი ჰან ჩაუვარდა მას ხელში პირველი ხმა
 ქვეყნიერების სხოვრებაში? თუ დავაკვირდებით წარსულს დავინახავთ რომ
 რომა აზიის და ვეროპას შეჯიბრება თანასწორ პირობებში სწარმოებდა,
 ვეროპა მას არც ერთ ღია ბრძოლაში არ გასწორებია და ეს გარდატეხა
 მეტოქეობის მას თავის ძლიერებით არ აქვს მოპოებული. ყველა აზიური
 ძლიერება ჯერ შიგნით კნინდებოდა პოლიტიკურად, იშლებოდა შემადგე
 ნელ ნაწილებად; ჯერ აზიელები ამარსხებდნენ მას და მხოლოდ შემდეგ
 შორდებოდნენ მათ ვეროპიული პროვინციები. არაბეთი დაიყო რამოდე-
 ნიმე ხალიფატად; მათი ძლიერება უკვე რამდენჯერმე იქმნა შემუსვრილი
 აზიის ველებზედ და ბოლოს და ბოლოს ჩამოშორდათ მათ ესპანეთი.

მონღოლები დასუსტდნენ, დაიყვნენ რამოდენიმე სახანოებად, დაჰ
 კარგეს ყველა დაპყრობილი ქვეყნები, მაგრამ რუსეთი მაინც ყურ მოჭრი-
 ლი მონა-მორჩილი იყო დაკნინებულ ოქროს ურდოსი. მხოლოდ ერთხელ
 გამარჯვეს რუსებმა მათზედ დიმიტრი დონსკოის ხელმძღვანელობით, მა-
 გრამ დამოუკიდებლობა მაინც ვერ მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ამისასი
 წლის შემდეგ, იოანემესამემ რუსეთის განმათავისუფლებელი ბრძოლით
 აღნიშვნა ვერ მოახერხა. ყირიმის ხანის მენგელ ხორეის წაქეზებით იოანემ
 ხარკის გადახდაზედ უარი განაცხადა; რუსეთ-მონღოლეთის ჯარი ერთმა-
 ნიანეს მდინარე უგრაზედ შეხვდნენ, მაგრამ მტერთან გასწორება
 ითანეს ვერას დიდებით ვერ გააბედვინეს. ბოლოს მონღოლებმა შეიტყეს,
 რომ მათ აქ ყოფნის დროს მენგელი ხორეიმ ოქროს ურდო დაარბია, აიყა-
 რნენ და წავიდნენ. აი, ვეროპას აზიაზე გამარჯვების ერთი მაგალითთაგა-
 ნი. სანამ ოსმალეთს დასავლეთი ვეროპა ებრძოდა, იგი ვენის კედლებს მო-
 ადგა და აქ იქმნა მისი ძლიერება შემუსვრილი იმ ერის მიერ, რომლის სა-
 რდლობაც აღმოსავლეთს აღმოსავლეთისავე ხერხით ეომებოდა; ეს იყო
 პოლონეთის მეფე იოანე საბესკი. ამის შემდეგ დაიწყო ნელ-ნელა ოსმალე-
 თის დაკნინება. ვეროპას ბედათ მოუსწრო აზიის არეულ დღეებში, აზიურ
 მავე დენთმა და ხიბლანმა. ამ ორი არგუმენტით ძლიერების დროებითი
 ტექნიკური წარმატებით და აზიის შინაური დაყოფა-დაქსაქსვის წყალობით
 დაიპყრო მან აზია. ერმაკი, ვასკო დე გამას ორი გემი, ალბუკერკის ჩამო-
 დენიმე გემი, დეემას კუკი.... აი ეს ერთეულები და ის მილიტარული ძლი-
 ერებანი, რომელთაც შეჰქმნეს ვეროპის ჰეგემონია. თვით კონტინენტზედ
 ვეროპა თავის თავს მაშინ არც ეგრე ძლიერად ჰგროძობდა. ვეროპა მთე-
 ლი თავისი ძლიერებით აღმოსავლეთს ჯვაროსნობის ომების დროს ეკვე-
 თა და თუ ვავითვალისწინებთ ამ ომების საბოლოო შედეგს, დავინახავთ
 რომ ვეროპამ ვერავითარ მიზანს ვერ მიაღწია.

ვატერლოოს ბრძოლის დროს, ნაპოლეონმა რომ დაინაჟა თავისი მარჯვენა ფრთაზედ ბლიუხერის გრენადერები, გამწარებულმა წამოიძახა: «ამ სხოველმაც ისწავლა ბრძოლის წარმოება»ო. მწარე ღიმილით აგონდება კაცს რუსეთის «ომის ღმერთი» პროპორჩიკთა პირიდან ხშირად გაგებული «აზიატი».

დღეს პირველი ხმა სამხედრო ხელოვნებაში ევროპას ეკუთვნის და ამას ანგარიში ყველამ უნდა გაუწიოს. ვისაც სამხედრო მეცნიერების შესწავლა სურს, მან ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს ევროპის სამხედრო ხელოვნება. მაგრამ ყველა არაევროპიელმა მხედარმა უნდა იცოდეს, რომ სამხედრო მეცნიერება ისევე, როგორც ყველა სხვა დარგი ხელოვნების, არა ვითარ შედეგებს არ მოიტანს თუ იგი ადგილობრივ ე. ი. ეროვნულ ნიადაგზედ არ იქმნა დამყნელი. როგორც ისტორიული კონსერვატიზმი და ყველაფერი და ყველაფერის სიძველის კბილებით და ფრჩხილებით ჭერა პლუპავს და აკნინებს ერს, აგრეთვე წვერები და «მანყეტები» დაწყობილი რეფორმები მხოლოდ მაგნე ნოვატორთბაა და ვერავითარ სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. პეტრე დიდის მიერ გარეგან გამომეტყველებიდან დაწყებული რეფორმებმა რუსეთი ევროპას ვერ დასწიეს და ის მუდამ ჩამორჩენილი იყო. მაგრამ იაპონელთა მიერ ევროპის კულტურის დადებით მხარეების საკუთარ ნიადაგზედ დამყნამ დღეს დამოუკიდებელი საკუთარი იაპონური კულტურა შექმნა, რომლის სიმალღესაც ყველა კარგად ხედავს.

აგრეთვე სამხედრო ხელოვნებაში; ყველა აზიელი მხედარი მოვალეა შეისწავლოს და იცოდეს ევროპის სამხედრო ხელოვნება, მაგრამ მისი მოვალეობა არის ვამოიძიოს და დღის შუქზედ გამოიტანოს აზიის მხედართა დიდების თილისმა, რომელთა მიერ მწარე გამონაცადის დაკარგვის უფლება არა აქვს კაცობრიობას.

ვ. ნა—ლი.



ამირსპასალარი და მისი სახელისუფლო.

ძველი საქართველოს სოციალური წყობილება აქამდის შეუსწაველი იყო. მაგრამ ჩვენმა სახელოვანმა ისტორიკოსმა პროფ. ივანე ჯავახიშვილმა ბნელით მოსულს ჩვენს ისტორიულს წარსულს მეცნიერული შუქი მოჰფინა. თითქმის ყოველწლიურად ქვეყნდება მისი ნაშრომები ჩვენი ისტორიის შესახებ, ეხლა გაბედულათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ დღეს მოგვეპოვება მეცნიერულად დაწერილი საქართველოს ისტორია. გასულ წელს სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა ბ. ი. ჯავახიშვილის ორ ტომიანი «ქართული სამართლის ისტორია». ეს გამოკვლევანი შეეხებიან ძველი საქართველოს სოციალურ ცხოვრების თანდათან განვითარებას, დაწესებულს იმ ხანიდან როცა ჯერ კიდევ ქართველი ყველა ტომები ჯაერთიანებული არ იყვნენ და სალკე ტომებათ დანაწილებულნი ცხოვრობდნენ და თავდება საქართველოს გაერთიანებით და ერთი მთლიანი ერთეული სახელმწიფოს დაარსებით და მისი უაღრესათ განვითარებით. ე. ი. 13 საუკუნემდის. შემდგომი ხანის ჩვენი სოციალური და სახელმწიფოებრივი წესწყობილების გამოსაკვლევად ჩვენს პატივცემულ პროფესორს განზრახული აქვს უძღვნას შემდეგი მესამე ტომი.

ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ამ ჩურონალში მოკლედ გადმოგვეცა ამ გამოკვლევებიდან ერთი თავი (ამირსპასალარი და მისი სახელისუფლო), რომელიც შეეხება სამხედრო საქმეს და რომელიც მოთავსებულია «ქართული სამართლის ისტორიის» მეორე ტომის პირველ წიგნში (გვ. 140-157)

საქართველოს ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ერს წარსულში უზნებოდა დიდი ბრძოლები მეზობელ ერებთან თავისი ტერიტორიის დასაცავად; რა თქმა უნდა, ეს განუწყვეტელი ომები გავლენას იქონიებდა რათა საქართველოში თავიდანვე განვითარებულიყო სამხედრო ხელოვნება და ქვეყნის დაცვის საქმე ჯეროვან სიმაღლეზე მდგარიყო. მართლაც ჩვენი მეფეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სამხედრო საქმეს და მასზე დაუღალავათ ზრუნავდნენ. ჯერ ხნობით საქართველოს სამხედრო ისტორია გამოკვლეული არ არის და ძნელ ია იმის თქმა თუ რა მიღწევები ჰქონდა სამხედრო ხელოვნებას ჩვენში (ეს დარგი ჩვენი ისტორიის მომავალში უსათუოდ ელის თავის სპეციალისტ-მკვლევარს) მაგრამ რომ ის სათანადო სიმაღლეზე იდგა და მას ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა და მეფისგან საგანგებოდ დანიშნული მოხელეები მასზე ზრუნავდნენ, ეს კი ნათლად სჩანს ბ. ი. ჯავახიშვილის გამოკვლევებიდან.

ამირსპასალარი, როგორც თვით სახელი მოწმობს, სახელმწიფო მხედრობისა და სპის წინამძღოლი იყო. იგი დღევანდელ სამხედრო

მინისტრს უდრიდა. სიტყვა «ამირსპასალარი» არაბულ-სპარსული სიტყვაა. ამირ არის არაბული და ნიშნავს უფროსს, სპა არის სპარსული და უდრის ლაშქარს.

ამირსპასალარის მთავარი დანიშნულება ლაშქრის სარდლობა და წინამძღოლობა იყო სამხედრო მინისტრის მოქმედება საქართველოში უფლებით შეზღუდული იყო იმიტომ, რომ მეფეები თვით იყვნენ სახელმწიფოს ჯარის წინამძღოლად და მთავარსარდლად, თმშიაც თვითონ მიდიოდნენ და ბრძოლასაც თვითონ უწყევდნე საერთო ხელმძღვანელობას. ასე იქცეოდნენ, მაგალითად, ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV და გიორგი II. ხოლო დავით აღმაშენებლის შესახებ მისი ისტორიკ ასი ამბობს, რომ იგი თმში მუდამ გულადათ წინმიუძღოდა თავის ლაშქარს და «თვით მეფე არა ვითარცა სხვაი ვინმე ზურგიით უდგა ოდენ სპათა თვისთა ანუ შორით უხრახებდა ვითარცაერთი მრავალთაგანი, არამედ უპირატესყოველთა თვით წინა უვიდოდა» და პირადის მაგალითით თავის ჯარს ამხნევებდა. არც დემეტრე I და არც გიორგი III დროსაც ამირსპასალარს ფართო სამოქმედო ასპარეზი არ ჰქონიათ. მხოლოდ თამარ მეფის დროს სანამ ის ქმარს მოიყვანდა ამირსპასალარს განსაკუთრებული მთავრობა ჰქონდა. ცნობილია, რომ თამარის ქმრის დავით სოსლანის დროს საქართველოს მხედრობის მთავარსარდლად ამირსპასალარი კი არ იყო, არამედ თვით დავით მეფე (სოსლანი). ამირსპასალარი კი მხოლოდ წინამძღოლობდა თმში მიმავალ ჯარს.

საქართველოში ლაშქრის მთავარ გამგებლად ისეთ განთქმულს მემარს ნიშნავდნენ, რომელთაც სამხედრო წყობაში და თმში სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი. მატიანე ამბობს, რომ თორნიკე ერისთავი განთქმული იყო როგორც ლაშქარი ა წყობით, ისე საღწეო საქმით. სარგის მხარგრძელი ჰაბუკობიდანვე იყო აღზრდილი ლაშქრობათა შინა, გამრეკელი კი იყო დიდი სახელგანთქმული მოლაშქრე (მებრძოლი ამირსპასალარი).

ამირსპასალარის საზრუნავად საზოგადოდ ის იყო, რასაც „სალაშქრო საქმენი,, ერქვა. რასაკვირველია, „საქართველოს ლაშქართა საქმე და განგება,, მის ხელშივე იყო. მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა „ლაშქრობათა მეცადინეობა,, „მხედართა განწყობებანი,, და „სპათა დაწყობათა ღონი და მიმართებანი,,. როდესაც მეფე თვით არ წავიდოდა თმში, ჯარის წინამძღოლობა და სარდლობა ამირსპასალარს ედგა ვალად, მაგ. თამარ მეფემ რომ საქართველოს შეერთებული მხედრობა სპარსეთში გაგზავნა, მთავარსარდლად სწორედ ამირსპასალარი იყო. ამირსპასალარისავე მოვალეობად ითვლებოდა აგრეთვე ლაშქრობის გვეგმისა და მოქმედების შემუშავება და მისი განხორციელება.

ამირსპასალარი ამის გარდა ვითარცა ჯარის თავი და წარმომადგენელი სხვა მხედართმთავრებს «შე უძღვებოდა» ხოლმე, როდესაც ძლევამოსილი ლაშქარი შინ დაბრუნდებოდა და მეფეს წარუდგებოდა.

ლაშქარზე და ლაშქრობის შესახებ გამართულ ბუბობაზე პირველი სიტყვა ამირსპასალარს ჰქონდა ყოველთვის დათმობილი. აგრეთვე, როდესაც ვაზირთა ბუბობა იქნებოდა ომიანობის დაწყების წინ პირველად მას უნდა გამოეთქვა თავისი აზრი. ამირსპასალარი ვაზირთა შორის იყო საპატიო ვაზირი და თავადი ლაშქართა. ამირსპასალარს როგორც ლაშქართა თავადს საქართველოს მთელი ჯარი და ყველა მხედართმთავარი ემორჩილებოდნენ. მისი ბრძანების შემეკითხველნი და აღმასრულებელნი იყვნენ. როდესაც მაგ., თაყაიძინ თმოგველი ზაქარია ამირსპასალარის მიერ მოწინავე რაზმის სარდლად დანიშნული მისი ბრძანების და მიუხედავად შეიბრძოლა მტერს და სდია მას, ისე, რომ ეს ამბავი მას არ ანებობა, ბრწყინვალედ გამარჯვებულსაც კი «აბრალედეს თაყაიძინს და უმეტეს ზაქარია მქისიდ ეტყოდა ამბისა უსწობელედ შებმისათვის».

საქართველოს სამეფოს მთელი ჯარი ორ მთავარ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთი იყო «ქვეითი ლაშქარი», მეორე — «მხედარი ლაშქარი» (სხენოსანი). დანიშნულების მიხედვითაც საქართველოს ჯარი ორ ნაწილად იყოფოდა: ერთი ნაწილი ლაშქრისა განკუთვნილი იყო «ქალაქთა და სიხეთა შინა მდგომად და დადამპირველად», რომელსაც სიხეებისა და ქალაქის მცველნი, «მცველნი ქალაქისანი» და «სიხოვანნი» შეადგენდნენ. როდესაც საქარველოს ჯარი მტრის ქვეყანას იპყრობდა, მათ სიხეებში მშინვე მცველ ჯარს ჩააყენებდნენ. მეორე ნაწილი მეფისა და მთავარსარდლის «თანამყოფელად და მოლაშქრედ» იყო, მომქმედ სამარ ძალას შეადგენდა.

შემადგენლობის მიხედვით საქართველოს ლაშქარში შედიოდნენ: I «სამეფოსა სპანი», რომელიც საქართველოს ყოველ კუთხიდან და თემიდან სალ-სალკე გამომავალი სახანაურო და მოყმეთა ჯარი იყო, «სპანი იპერნი და ამერნი», როგორც მაგ. ტაოს «ქვეყნისა ლაშქარი» და და ჯარები კლარჯთა, შავშთა, მესხთა, თორელთა, სომხითართა, ქართლეთა და სხვათა. ამ ლაშქარს ყველას თავისი «პატრონი» ყავდა და ამის გამო მას შეიძლება საპატრონ-ყმო ლაშქარი ეწოდოს,

დავით აღმაშენებელის დროს ეს ჯარი მსირე იყო, არსებობდა მხოლოდ «მსირე გუნდი მხედრობისა». მაშინ საპატრონ ყმო ლაშქარი ასე მსირე რისხოვანი იმიტომ ყოფილა, რომ სელჩუკიანთა მძლავრობისა და ახორებისაგან «სამეფო აფხაზეთისა მსირე ჰქონდა... და შენსირებული ტყვეობათა და... ჳირთავან». ამასთანავე თვით მეომარნიც «შეჯანებული მრავალგზის მტერთავან სივლტოლისათა», თურმე «უსხენონი, უსაჭურველონი და თურქთა მიმათ წყობისა ყოველად უმეცარნი და



ფრიად მოწიშნი» ყოფილან. დიდის მხნეობისა და დაუღალავის შრომის წყალობით დავით აღმაშენებელმა შესძლო საქართველოს ამ ჯარის მძლავრ საომარ იარაღად გარდაქმნა; თანდათან მან «თვისისა სამეფოსა სპანი რჩეულნი და მოკახმულნი ცნენკეთილნი» მედგარი მტრის ღირსეულ მოწინაარმდეგეთ აქცია.

2. ყ ი ვ ჩ ა ყ თ ა მ უ დ მ ი ვ ი ჯ ა რ ი, 40.000 «წყობად განმავალნი», რ.მელიძე პირველად დავით აღმაშენებელმა 1118წ. გადმოიყვანა და საქართველოში დასახლა მეფემ თავაი ააღი ლამქარი «კანასოულა ციენებითა და საქურველითა», ამასთანავე «დააწვნა გვარად-გვარად და დაუდგინა სპასალარნი და ძართებელნი». ყივრაცთა ძედივე ჯაიის გარდა თაძაოის დოოს იყვნენ აგრეთვე ჯაოში «აკან» და ყივრაცნი ააღნი». ქ. ი. ანლად გადმაუღლი და აააააუ უად ძაუღლი. ძაძაა ქაოთველები აბუბაეო ათაბაგის წინააღძდეკ კალაძეუბაათვის ეძაადებოდეო და «ძას ეამ-აა ძაა ქივრაცთა ძევიან სევიანჯანს» ცკალითა აქა იეო აააააუ უად ღიღითა ლამეოთა».

3. მამასადაძე, მესამე ნაწილს «ს ა მ ს ა ა უ რ ა დ» მკოვი კავკასიის მთიელთა ჯარი ეკუთხებოდა.

4. დასასრულ დავით აღმაშენებელმა დააწესა მეფის პირადი მცველი ჯარი «მ ო ნ ა-ს კ ე ბ ა დ» წოდებულნი (მეფის გვარდია). ესენი იყვნენ «მონანი მეფისანი», რომელნიც «კვენეს რჩეულნი» დავით აღმაშენებელს «ვითარ ხუთი ათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა».

ყოველთვის როდესაც საქართველო მტერთან საომრად ემზადებოდა ან ძლიერს ომში იყო, თავდაპირველად ომიანობის დაწყებამდის დაზავის ჩამოგდებამდის მეფე დიდებული ხელისუფლებს და დარბაზის ერს და ეკითხებოდა, მაგ. როდესაც შარვანშაჰ ფადლუნმა სანამ ქართველები შანქორის დაღეწილ ქალაქისა და ზღუდეების აღებას შეუდგებოდნენ, მეფე ბაგრატ III ეს მოციქული მოუგზავნა და ზავი სთხოვა, აგრეთვე მორჩილება და ყოველწლიური ხარჯის ძლევა და მსახურება აღუთქვა; საქართველოს მეფემ ვიდრე პასუხს შეუთვლიდა, «უბრძანა და შემოკრიბნა ყოველნი დიდებულნი წინაშე მისისა» და მათ ომიანობის განგრძობასა და დაზავებაზე დაეკითხა. ამ დიდებულთა საბჭოს წევრებმა «სიბრძნითა გამოირჩიეს და უმჯობესად აწვიეს ზავი». თამარ მეფის ეროსაც ყოველ დიდმნიშვნელოვან სამხედრო მოქმედებას სახელმწიფო დარბაზის თათბირი დაბუობა წინაუძღოდა.

როცა კი სახელმწიფო დარბაზი ლაშქრობასა და ომს დაასკენიდა, ამის შემდეგ იწყებოდა «წ ვ ე ვ ა ლ ა შ ქ რ ი ს ა» (მობილიზაცია). მეფე ბრძანებას გასცემდა საქართველოს ჯარისათვის დაეგზავნათ «წ ი გ ნ ე ბ ი წ ვ ე ვ ი ს ა». ლაშქრის წვევის ბრძანების გასემის უფლება მხოლოდ მე-

ფესა ჰქონდა.

ლაშქრის წვევისათვის განსაკუთრებული მოხელეები იყვნენ, რომელთაც „ლაშქრის მწვეველნი“ ერქვათ. ჩვეულებრივ ლაშქრის მწვეველებად „ნიკრიკნი და მალემსრბოლნი“ იგზავნებოდნენ. წვევის წიგნებში აღნიშნული იყო ვადა ანუ „პაემანი“; ამ დროისათვის ჯარი საომრად გაწყობილი უნდა გამოსხადებულიყო. წიგნებში, მაშასადამე „მწაობა“ იყო ნაბრძანები და აღნიშნული, რომ ბრძანა „მეფემან რათა მზა ყყენ სპანი მისნი“, თანაც დასახელებული იყო პაემანი მზაობისა და შეყრისა. ამის შემდგომ მეომარნი „ეკანოდეს და ემხადებოდეს“.

დანიშნულს პაემანს და ადგილს საქართველოს სამხედრო ძალა მზად გამოწყობილი უნდა შეკრებილიყო. ამას სპათა ანუ „ლაშქართა შეყრა“ ეწოდებოდა. შეყრილ ჯარს მეფე დაათვალიერებდა და გაუსინჯავდა იარაღს და მოკანმულობას. ამას „სპათა განახვა“ ეწოდებოდა. მაგ. როდესაც სპარსეთში გასალაშქრებლად გამზადებული საქართველოს მხედრობა დანიშნულს პაემანს ტფილისში შეიყარა, თამარ მეფემ „განახვნა სპანი და იხილა აბჯრითა კეთილითა და პატიოსანთა და მოუწონა აბჯარი და სხენკეთილობა მათი, სიდიდე და სიმხნე სპათა მისთა“. ეს განახვა ჯარის ერთგვერი აღლუმში იყო.

როდესაც მეფე თვით არ მიბრძანდებოდა ომში, მაშინ ლაშქრის განახვის შემდგომ მეფე სახელმწიფო დროშას სასახლიდან გამოატანინებდა, დალოცავდა ჯარს და დროშას ამირსპასალარს ჩააბარებდა, ამის შემდგომ ლაშქარი საომრად დაიძვრებოდა.

ძღვევამისილი ლაშქრობიდან რომ მიბრუნდებოდა საქართველოს ჯარი, განსაკუთრებით თუ მეფე თვით ბრძოლის ველზე არ იყო, მაგრამ ისედაც, მახრობელს ჯერ მეფეს, ან დედოფალს აახლებდნენ, შემდეგ როდესაც თვით ლაშქარიც და დიდებულნიც დედა ქალაქს მოაღწევდნენ, მაშინ კვლავ დარბაზობა იმართებოდა და ამირსპასალარი ვითარცა ჯარის მთავარი წარმომადგენელი დანარჩენ მხედართმთავრებს შეუძღვებოდა, ომის ამბავს მოახსენებდა და უფრო თვალსაჩინო ნადავლსა და ძღვენს მიართმევდა.

დასაჩუქრებისა და ნადავლის განაწილების შემდგომ მეფე ლაშქარს დაითხოვდა. ამას „ლაშქართა გაყრა“ (დემობლიზაცია) ეწოდებოდა.

ამირსპასალარს თავის სამხედრო თანამდებობის ნიშნად ხმალი ჰქონდა და მგზავრობაში თუ დიდ დარბაზობის დროს იგი „ხმალმემორტყმულ“ იყო. ამასთანავე მას, ვითარცა საქართველოს მთელი სამხედრო ძლიერების გამომნატველს, მეფის კურთხევის წესში განსაკუთრებული ადგილი და მნიშვნელობა ჰქონდა. „სამეფო ხმალი“ სანამ მეფე ეკურთხებოდა სწორედ მის ხელთ იყო და როდესაც ეკლესიაში მიდიოდნენ, ეს „სა-

მეფო ხმალი ორთავე ხელთა ზედა“ მას ეტვირთა, ხოლო როდესაც მეფის საეკლესიო კურთხევა გათავდებოდა სამეფო ხმალს ამირსპასალარი მეფეს შემოართყამდა.

ამირსპასალარის დაუკითხავად შეუძლებელი იყო ქვეყნისგაცემა და სამამულოდ შეწყობა („უიმისოდ ქვეყანა არ გაიცემის, არც ვინ სამამულოდ შეიწყობის“). ქვეყნის გაცემა სახარჯოდ, ან მამულის მიცემა საყმოდ ვისთვისმე ამირსპასალარის დაუკითხავად იმიტომ არ შეიძლებოდა რომ ლაშქარ-ნადირობის საქმე მამულზე იყო დამოკიდებული და რომ ქვეყნის გაცემით და წყალობით დიდმნიშვნელოვანი საქმე არ შეფერხებულიყო, ამირსპასალარის დაკითხვა იყო საჭირო.

როგორც ყველგან საშუალო საუკუნეებში, საქართველოშიც არა ერთხელ ყოფილა, რომ ამირსპასალარს კიდევ სხვა ვაზირობაც ჰქონოდა მინიჭებული, მაგ. გიორგი III დროს ივანე ორბელი მანდატურთა-უხუცესი და ამირსპასალარი იყო. აგევე იყვენ ყუბასარი და ჭიაბერიც.

საერთოდ ამირსპასალარი ყველა სპასალართა უფროსი იყო და ისინიც მათი ქვეშეთი მოხელენი იყვნენ. სპასალარი საქართველოში ბევრი იყო. ყოველ თემს და კუთხეს თავისი საკუთარი სპასალარი ჰყავდათ.

არსებობდა აგრეთვე სამხედრო თანამდებობა ა მ ი ლ ა ხ რ ი ს და მ ე ა ბ ჯ რ ე თ-უ ხ უ ც ე ს ი ს ა. ამილახორი ამირსპასალარის თანაშემწე ხელისუფალი იყო (სამხედრო მინისტრის ამხანაგი). მებაჯრეთ-უხუცესი და მეჯინიბეთ უცუცესი ამილახორის ხელქვეითი მოხელენი იყვნენ.

ამილახორი დიდი ხელისუფალი იყო. თვით სახელწოდება არაბულია (ამირ-ახურ) და უფროს შტალმაისტერს ანიშნავს. ამილახორობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის გარემოებას ამტკიცებს, რომ ამილახორობის შემდგომი საფეხური ამირსპასალარობა იყო. დარბაზობის დროს ამილახორიც «ორთა ვაზირთა სწორედ ნახოს მეფემან», ე. ი. მას იმნაირივე პატივისცემა და უპირატესობა ჰქონდა რაც მეჭურჭლეთ-უხუცესს (ფინანსთა-მინისტრი) და მსახურთ-უხუცესს (სასახლის მინისტრი). ქვეშეთი მოხელეთაგან კი ვაზირთა ბჭობას (მინისტრთა საბჭოს სხდომას) მარტო ამილახორს ჰქონდა უფლება დასწრებოდა. იგი იყო ვაზირობის წევრი. მას მხოლოდ სათათბირო უფლება ჰქონდა და არა გადაწყვეტი. ამირსპასალარივით ამილახორსაც ვითარცა სამხედრო უწყების წარმომადგენელს ხმალი ჰქონდა შემოართყმული მეფის კურთხევის დარბაზობის დროს. ხმალი შემოართყმული იყო იგი აგრეთვე ლაშქრობის და სალაშქრო საქმეების შესრულების დროსაც. დარბაზობის დროს ამილახორს თან ახლდნენ მისი ქვეშეთი ხელისუფალნი, მებაჯრენი, რომელნიც მის ზურგის უკან იდგნენ. მებაჯრეთაგან ერთი კარგ მებაჯრეთ ითვლებოდა და მას ერთგვარი უპი-

რატესობა ჰქონდა სხვებთან შედარებით. როდესაც დარბაზობის დროს ამილახოზის დაჯდომის ქამი იქნებოდა, ის ხმაღს გადასცემდა იმ კარგ მებურეს და იგი მხარზე ჩამოიკიდებდა.

მეაბჯრეთ-უხუცესი მებაჯრეთა უფროსი იყო. მას ვითარცა ამილახოზის ქვეშეთს მოხელეს მახე გასილებით ნაკლები უფლება და პატივისცემა ჰქონდა. მას უფლება არ ჰქონდა ვაზირობას დასწრებოდა, მხოლოდ როდესაც ვაზირები სამოსიქულოდ დაიბარებდნენ, მაშინ შეეძლოთ იგი სავაზიროს ძეკევანათ. მებაჯრეთ-უხუცესსაც ვითარცა სამხედრო უწყების მოხელეს ხმალი ეკუთვნოდა და მეფის კურთხევის დროს იგიც ხმალი ჰქმობოდა მისი. და ამირსპასალარისა და ამილახოზის გვერდით. საღაჭორო საქმეების დროსაც იგი ხმალი შემორტყმული იყო.

მებაჯრეთ-უხუცესს ვითარცა აბჯრის მთავარ გამგე-მოხელეს მეფის კუთხეში თავისი განსაკუთრებული მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული. როდესაც მეფე საყდარში წაბრძანდებოდა საკურთხებლად და როდესაც უკან დაბრუნდებოდა მებაჯრეთ-უხუცესს ფარი და ლახტი ქარქაშში ჩაგებული ხელთ ეჭირა და მეფეს უკან იღებდა. მებაჯრეთაგან ერთი „სეფე-მებაჯრედ“ იწოდებოდა, მეორე — „კარგ მებაჯრედ“. ყველა მებაჯრეთებს დარბაზობის დროს ჯაჭვი ეცვათ. ეს ჩასამელი ჯაჭვი ვერცხლისა იყო. მხოლოდ სეფე-მებაჯრეს უთეთრესი ჯაჭვი ეცვა.

მებაჯრეთა გარდა, „აბჯრის მტვირთველებიც“ იყვნენ. ესენი იყვნენ სავანგებო მოხელენი, რომელთაც აბჯარი ეჭირათ და თმში თავის პატრონებს ეხმარებოდნენ. აბჯრის მტვირთველობის მოვალეობის აღსრულება უსწავლელად არვის შეეძლო. ამისათვის სავანგებო გაწვრთნა და დახელოვნება იყო საჭირო. აბჯრის მტვირთველები ყავდათ მეფეს, ამირსპასალარს და სპასალარებს.

მეჯინიბეთ-უხუცესი ვითარცა საჯინიბოს ხელოსანთა და მეჯინიბეთა მთავარი გამგე ამილახოზს ემორჩილებოდა დარასაკვირველია, ისიც სამხედრო უწყებას ეკუთვნოდა. მეჯინიბეთ-უხუცესის გამგებლობის ქვეშ იყო ის განსაკუთრებული დაწესებულება, რომელსაც „საჯინიბო“ ერქვა. ხლო ხელკვეთი მოხელეებათ „მეჯინიბეთი“ ჰყავდა. ერთს მეჯინიბეს, „ხარდახის მეჯინიბეთი“ ეწოდებოდა, მაგრამ ეს ზარდახის მეჯინიბე ზარდახის - უხუცესს ემორჩილებოდა და არა მეჯინიბეთ უხუცესს.

ამირსპასალარისვე სახელისუფლოს ეკუთვნოდნენ აგრეთვე „აჩუხჩი და ამირჩქარი და მერმეთ-უხუცესი“. როდესაც ამირსპასალარი თავის თანამშრომლებითურთ საღაჭორო საქმეებს აწესრიგებდა აჩუხჩი, ამირჩქარი და მერმეთ-უხუცესი (წინათ დგანან შორს და სიარულითაც წინათ იარებიან)

ნათქვამია ერთ-ერთ საისტორიო ძეგლში. მეტი ამ მოხელეთა უფლება მოვალეობის შესახებ ჯერ-ჯერობით არავითარი მასალა არ მოიპოვება.

ამილახორსა და მებაჯრეთ-უხუცესს ექვემდებარებოდა აგრეთვე ერთი განსაკუთრებული დაწესებულება, რომელსაც «ზ ა რ და ხ ა ნ ა» ეწოდებოდა: ამ დაწესებულებაში იხაზებოდა: ყველა აბჯარი, ჯაჭვი, მუხარადი, ხმალი, ქაფა, საბაოკული, მწვილდ-კაპაოკი, ლახტი, ძუბი, უნაგირა, მოქედილი და ხაძი, უხაგიონის აკანთულობა, საცენე ჯავზანი, აბრეძემის მახჯუვები, სხენის ძოქედილი ყელსაბამი, კანჯრის კუდი, ყველა დიდი დროცა, დაბარხაძნი, სეფე ძუბი ალძითა. ერთი სიტყვით ზაოდახანა ყოველგვარი აბჯარ-იარაღის და სამხედრო ნიშნებისა და სამკაულის საწყობი იყო. ზაოდახანა სპაოსული სიტყვა და იარაღის და ნიშნების საწყობს ნიშნავს. გეომაძულად ზაოდახანას «სოიგკაუშ» ეწოდება.

ზაოდახანის გამგეთ ზაოდახანის-უხუცესი ითვლებოდა. ამას გარდა არსებობდა ზაოდახანის ძოლაოე და მეჯინიბე. იყო აგრეთვე მისთარულთ-უხუცესი და ზაოდახანის ძვიგზობაოი. ძაგოაძ ეს ზაოდახანის ძვიგზობაოი ეძოროილებოდა ათა ამიოსპასალაოს, არაძედ ძვიგზობართ-უხუცესს.

ზარდახანის უხუცესი, ზარდახანის ძოლარე და მისრატულთ-უხუცესი უფროსი მოხელეები იყვნენ, მაშინ როდესაც მისრატული და ზარდახანის მეჯინიბე მძირე მოხელეებათ ითვლებოდნენ. ამ გვარად ზარდახანის-უხუცესს და ზარდახანის ძოლარეს ებარა აბჯარ იარაღი და როდესაც დასჭირდებოდათ ისინი გასცემდნენ. მაგ. როდესაც მეფისათვის სხენი უნდა მოეყვანათ, აღვირს და უნაგირს ზარდახანის ძოლარე მისცემდა, ხოლო მათრახს ზარდახანის უხუცესი. მისრატულთ-უხუცესის მოვალეობა იყო მეფისათვის ძოკანძული სხენი მოეყვანა. ზარდახანის მეჯინიბე და მისრატული მეფის სხენის ძემკანძავეები იყვნენ.

როდესაც მეფე სხენით სადმე წავიდოდა, ზარდახანის უხუცესი და ამერთ ახუიჩი წინ მიუძღოდა. ზარდახანის მეჯინიბე და მისრატულთ-უხუცესი კი მეფის მგზავრობის დროს „ორივენი უკნით იარებიან“. ყველა ესენი საერთოდ მეფის, ვაზირების და ამირსპასალარის მხლებლები იყვნენ.

როგორც საქართველოს სახელმწიფო სხვა დაწესებულებებში, ზარდახანშიც ყოველ დანახარჯის ანგარიში წერილობით უნდა ყოფილიყო აღნუსხული, ხოლო წელიწადში ერთხელ წლის თავსაერთოდ და საბოლოო ანგარიში უნდა მოეხდინათ. ეს უკანასკნელი ანგარიში იმავე დროს შემოწმება-რევიზიასავითაც იყო და ზარდახანში მაშინ რამდენიმე მოხელე უნდა შესულიყო და შეემოწმებინა („ამილახორი, მებაჯრეთ-უხუცესი, ზარდახანს მეკლენ და ზაოდახანის-მწვიგზობართი დასწერს, ანგარიშს იქმნენ და საანგარიშოს გოპორსა შიგან ჩასდებს“). როგორც სჩანს ზარდახანის ანგარიშების და მდგომარეობის ამგვარი შემოწმება ყოველი წლის დამდეგს უნდა მოეხდინათ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია «საანგარიშო გოდორი», რომელშიაც ინახებოდა ზარდახნის ყოველწლიური ანგარიში და შემოწმების საბუთები. როგორც ირკვევა, საქართველოს სამეფოს ყველა მთავარ დაწესებულებებში იყო საანგარიშო საბუთების სასაფი, თავისებური «გროსბუხი». ამ საანგარიშო საბუთების შემნახველებს და მსველებს «მეგოდრენი» ეწოდებოდათ.

ამით ვამთავრებთ ამ საყურადღებო გამოკვლევის მოკლედ გადმოცემას. ვისაც ინტერესი და ხალისი აქვს, თან საამისო პირობებშიც, ჩვენს ისტორიულ ძეგლებში უამრავი მასალა მოიპოვება სამხედრო ტექნიკის და ისტორიის შესასწავლად. ვისაც კისურვილი აღუძვრება მან პირველად ამ გამოკვლევას უნდა მიმართოს. პროფ. ი. ჯავახიშვილის ეს გამოკვლევა საინტერესოა აგრეთვე სამხედრო ტერმინოლოგიის მხრივაც.

ს. ჯ—ძე

არტილერია, მისი დანიშნულება და გამოყენება

თანამედროვე ბრძოლაში.

II

არტილერიის საერთო დახასიათება.

ქვეითა ჯარს, მიუხედავად ესლანდელი მისი ძლიერი შეიარაღებისა, არა აქვს შეძლება მუდამ შეასრულოს დამოუკიდებლათ თავისი დავალებები.

არსებობს მრავალი რიგი დავალებათა, რომლის შესრულება მას შეუძლიან მხოლოდ ჰარის სხვა დარგთა, და უპირველეს ყოვლისა, არტილერიის დახმარებით.

არტილერია, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, არის ცეცხლის იარაღი. ეს არის მისი მოქმედების ერთადერთი საშუალება. ამ საშუალებით ის

სხვა ჯარის დარგებთან ერთად ისწრაფვის მოპირდაპირის განადგურებისაკენ. ამიტომ არტილერიის როლი ბრძოლაში არ შეგვიძლიან განვიხილოთ დამოუკიდებლად, არამედ მხოლოდ მანევრის ჩარჩოებში, სადაც მისი მოქმედება მჭიდროდ გადამბულია ჯარის სხვა და სხვა დარგების და უმთავრესად ქვეითა ჯარის მოქმედებასთან.

არტილერიის სამკაულად შეგვიძლიან ჩავთვალოთ შემდეგი მისი თვისებანი:

- 1) განმანადგურებელი ძალა,
- 2) ცეცხლის შორწვდომა (შორსროლა)

3) ცეცხლის მიხვრა მოხრილობა, ზნექილობა (რაც არტილერიას შეძლებას აძლევს იმოქმედოს არა მხოლოდ ვიწრო ფარგლებში, ბრძოლის ველზე, საკუთარ მინიჭებულ მიდამოს ნაწილზე, არამედ მეზობელ ერთეულების სასარგებლოდაც).

4) შეძლება ბრძოლაში შესვლისა და მოქმედებისა შედარებით ფარულად მტრის მხედველობისაგან და ხშირად კიდევ მის ცეცხლისაგანაც

გარდა ამისა არტილერიას აქვს დიდი უარყოფითი მხარეც. არსებობს წუთები, როდესაც არტილერია ხდება თითქმის სრულიად უძლური და განწირულია დიდ საფრთხეზე; და ეს მოძრაობისას, დგომა-დასვენების და მოწყობილება-გადაჯგუფებისას; ამ მომენტში არტილერიას არააქვს უშუალო და სწრაფ თავდასვითი მოქმედების შეძლება. ვინაიდან წარმოადგენს დიდ მიზანს — არის ადვილად შესამჩნევი მოპირდაპირისათვის, რაც აადვილებს მის უეცარ ცეცხლის ქვეშ მოქცევას, და რომ ზიანი აიძლიონ ან შეამციროს, მას არ შეუძლია ადვილად გაიჯრას და გაიშალოს.

მიუხედავად ამ ნაკლისა არტილერიის მნიშვნელობა ბრძოლაში დაუფასებელია და მისი მნიშვნელობა და საჭიროება დღითი დღე იზრდება.

ქვემოთ მოყვანილი ცნობები აშკარად გვიჩვენებს არტილერიის ცეცხლის ძალის ზრდას ეკანასკნელ ხანებში.

1870 წლის და თვით რუსეთ იაპონიის ომის დროს (1904-5წ.) ზიანი, რომელსაც აყენებდა არტილერია ცოცხალ ძალებს არაღმატებოდა 25 ტს; დიდი ომის დროს კი ეს იზრდება 75 - დე.

მოგკყავს აქ შედარებითი შეფარდება ცოცხალი ძალების ზიანისა სხვა და სხვა იარაღის მიერ 1870წ. ფრანგებ-გერმანელების ომიდან, ვიდრე ეკანასკნელი დიდი ომამდე.

დიდი ომის დროს მებრძოლი სახელმწიფოები მუდმივ იძულებულნი იყვნენ გაეზარდათ თავიანთი არტილერიის რიცხვი და თანდათან გაეუმჯობესებიათ თვით იარაღიც.

შებმულობისას და დიდი სტრატეგიული სიმოძრავე ავტომობილებით ტარებისას, ან რკინის გზის საშვალებით გადაყვან-გადმოყვანისას.

მთავარი დანიშნულება—უშუალო დახმარება ქვეითა ან ცხენოსან ჯარს.

მსუბუქე არტილერიის შემადგენლობაში შედის:

ა) საველე არტილერია (ტიპიური იარაღი: ზარბაზნები 75-90 მილმ-დე და ჰაუბიცები 100 მმ-დე). შეძლება აქვს თანახლდეს ქვეითა ჯარს ყოველგვარ მდგომარეობაში და თითქმის ყოველგვარ მიდამოზე.

ბ) სამთო არტილერია (მოკლე ზარბაზნები და ჰაუბიცები 65-100-მმ-დე) მისი იარაღი ადვილად იშლება რამოდენიმე ნაწილად და შესაძლებელია სატარებლად ცხენებზე და ჯორებზე მათი დასაპალნება. ამ რიგად ადვილი გამოსაყენებელია მთიან და ძნელ გასავალ ადგილებზე. არტილერიის ამ დარგის იარაღს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენს ქვეყანაში და ამიტომ ჩვენი არტილერიის უმრავლესობა უნდა შედგებოდეს სამთო არტილერიისაგან, რომლის ტარება ჩვენ მთიან მიდამოებში გაადვილებული იქნება და მეორე, ვინაიდან ამ ქვემეხებს უფრო ფერდი და მაღალი ტრაექტორია აქვთ, სროლის ნაყოფიანობაც მთებში მეტი ექნება ვინემ საველე არტილერიის ზარბაზნებს დაფენილი და მდაბალი ტრაექტორიით რომლის მთებში მოქმედების შეძლება ფრიად სუსტია უზიანოსივრცეების სიმრავლის გამო. რაც შეეხება სამთო ქვემეხების დანარჩენ თვისებებს, იგეგვია რაც საველე არტილერიის.

გ) ცხენოსანი არტილერია საველე და სამთო (შემსუბუქებული ზარბაზნები და ჰაუბიცები 75-100 მმ-დე) შეფარდებულია ცხენოსან ჯარის მოქმედებასთან, რომელსაც აქვს ტაქტიკური მოძრაობის გასილებით მეტი შეძლება ვინემ საველე არტილერიას.

მ ძ ი მ ე ა რ ტ ი ლ ე რ ი ა. დამახასიეთებელი მხარე: საშუალო ყალიბი (100-155 მმ. ზარბაზნები და ჰაუბიცები) საკმარისი ჩქარსროლა შორსროლა 12 კლმ-დე, საკმაო ძალა ჭურვების მოქმედებისა, საკმარისი ტაქტიკური მოძრაობა ცხენების შებმულობისას და დიდი სტრატეგიული მოძრაობა რკინის გზის საშვალებით.

3. მ ძ ი მ ე ა რ ტ ი ლ ე რ ი ა დ ი დ ი ძ ა ლ ი ს ა (ქვემეხები ყალიბით 155 მმ. უფრო დიდის) დამახასიათებელი მხარე: ფრიად მნიშვნელოვანი შორსროლა და დიდი ძალა ჭურვების მოქმედების. მსირე სწრაფსროლა და მოძრაობა.

4. ს ა ზ ე ნ ი ტ ო ა რ ტ ი ლ ე რ ი ა. შედის საჰაერო მოგერიებითი ნაწილების შემადგენლობაში, არ ექვემდებარება საერთო არტილერიის ხელმძღვანელობას ბრძოლის დროს. იხმარება მხოლოდ საჰაერო მიზნების საწინააღმდეგოდ.

5. ს ა ც ი ხ ო ვ ნ ო ა რ ტ ი ლ ე რ ი ა. საშუალო და დიდი ყალიბის ქვემეხები, უძრავი, მოთავსებული ციხე სიმაგრეების ბლინდაჟებში და კოშკებში მის მოსაგერიებლად.

6. ს ა ნ ა პ ი რ ო ა რ ტ ი ლ ე რ ი ა. დიდ ყალიბის შორსმართლი წარბაზნები, უძრავი, მოთავსებული სანაპირო სიმაგრეებში, ჭურჭების მნიშვნელოვან ნგრევითი მოქმედებით, სახედრო გემების საწინააღმდეგოდ მოქმედებისათვის.

7. ს ა ზ ღ ვ ა ო ა რ ტ ი ლ ე რ ი ა. სხვა და სხვა ძალის და ყალიბის წარბაზნები მოთავსებული სახედრო გემებზე. დამახასიათებელი მხარე: მექანიკური და სწრაფი მოქმედება, დიდი შორსროლა და ჭურჭების მოქმედების დიდი ძალა.

გარდა ამისა არსებობს კიდევ:

ა) მსუბუქი არტილერია დიდი ძალისა (სასანგრო). დამახასიათებელი მხარე: ჭურჭების დიდი ნგრევითა ძალა, მცირე შორსროლა და მაღალი ტრაექტორია. გამოსაყენებელია უმთავრესად მოგერიებითი საშვალეების გასანადგურებლად მცირე მანძილზე და იხმარება პოზიციურ ომის დროს.

ბ) თანხლები არტილერია, რომლის დანიშნულება არის უშუალო თანხლება ქვეითა და დაქვეითებულ სხენოსან ჯარს. მათი მოძრაობისას, სასწრაფოდ მოქმედებისათვის იმ გვარ მიზნების საწინააღმდეგოდ, რომლის მოსპობა თოფის და მექანიკურ იარაღის საშვალეებით ძნელი ან შეუძლებელი ხდება. ამ არტილერიის იარაღი არის ფრიად მსუბუქი და მოძრავი. არ ექვემდებარება არტილერიის საერთო ხელმძღვანელობას ბრძოლაში და იმყოფება მხოლოდ უშუალო ბრძანებლობის ქვეშ იმ უფროსისა, რომლის ნაწილებს თან ახლავს.

მოძრაობის საშვალეების მიხედვით არტილერია განიხილება:

1. არტილერია სხენთა შებმულობისა.

2. სასაპალნე არტილერია (სადაც შესაძლებელია ეს არტილერია (სა მთო) მოძრაობს ნორმალურად სხენების ან ჯორების საშვალეებით, ძნელ გადასავალზე შეგვიძლია კიხმართო ხარებას შებმულობა ან კიდევ დავშალოდ ქვემეხები და ვაჩართო ნაწილ-ნაწილ სამთო ურმებზე და მარხილებზე ან კიდევ საპალნეთი სხენებზე ან ჯორებზე).

3. არტილერია მოძრავი მექანიკურ საშვალეებით (ავტომობილები და ტრაქტორები).

4. ქვეითა არტილერია, (რომელსაც არ გააჩნია საკუთარი საშვალეება მოძრაობისათვის ან კი მოეპოება ფრიად განსაზღვრული რიცხვი ამ საშვალეებისა).

5. სარკინისგზო არტილერია (რომლის მოძრაობის ძირითადი საშვალეება არის რკინის გზა).

არტილერიის სვლის სიჩქარე დამოუკიდებლად მოძრაობისას.

| არტილერიის გვარობა | საათში კილომეტრი | | დღიურად კილომეტრი | |
|-----------------------|---|---------------|-------------------|---------|
| | ნაბიჯი | ნაბიჯი-ჩაერთი | საშუალო | უდიდესი |
| საველე | 5-6 | 7-8 | 20-30 | 40 |
| სენოსანი | 6-7 | 8-9 | 25-35 | 60-100 |
| მძიმე | 4-5 | — | 20-25 | 35 |
| სამთო | ადგილ-მდებარეობის მიხედვით, სწორ ადგილას საველე არტილერიასავეით მთიან ადგილებში მძიმე არტილერიასავეით და უფრო მსიბრეც | | | |

სხვა ჯარის ნაწილებთან ერთად მოძრაობისას არტილერია უფარდებს სვლის სიჩქარეს და მანძილის რაოდენობას თვით ამ ჯარის ნაწილების სვლას.

ლ. მ.


მძიმე ტყვიამფრქვევი.

წარსულ დიდ ომში მძიმე ტყვიამფრქვევს ჰქონდა დაუფასებელი მნიშვნელობა. თუ მეტი არა, იგივე მნიშვნელობა ექნება ამ იარაღს მომავალ ბრძოლაში რადგანაც, გარდა იმისა, რომ იძლევა ძლიერ და განუწყვეტელ ცეცხლს, თავისი შედეგებით ანადგურებს მტრის ძალებს და დემორალიზაცია შეაქვს მტრის მწყობრებში, შეიძლება ეს იარაღი იყოს იმდენად კარგად გამოყენებული დედა-მიწის რომელიმე ნაწილზე, რამდენად იგი იქნება გაწყობილი და მისი ცეცხლი დაჯგუფებულ ლოკურად დამიზანებულნილად.

რათა მძიმე ტყვიამფრქვევებმა შესძლონ თავიანთი დანიშნულების და დავალების შესრულება. ისინი უნდა იყვნენ მსოფნე უფროსებისა და კარგად გაწვრთნილ მსახურთა ხელში, რომლებიც ღრმად უნდა იყვნენ დარწმუნებული თავიანთი იარაღის სიძლიერეში. თუ მსახურთა მიერ ეს მძლავრი ცეცხლის მანქანა არ იქნა კარგად გამოყენებული საჭიროების დროს, მაშინ იგი ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და წარმოდგენს მძიმე უსარგებლო ავეჯს.

მძიმე ტყვიამფრქვევს ახასიათებს შემდეგი დადებითი მხარეები: 1. სწრაფ-სროლა. — ერთ წუთში ისვრის 400-500 ვაზნას; ცეცხლის სისწრაფე დამოკიდებულია ტყვიამფრქვევის სისუფთავეზე და ზამბარაკის შეკუმშვაზე. 2. ცეცხლის მიზან-სროლა, ვინაიდან აქვს მძიმე საყრდნობი სამაგრი მუხრუჭებით, ამიტომ აქვს მსორე გაფანტვა. დაკეტილ მდგომარეობაში ფანტავს ტყვიებს ერთ კი ლომეტრზე 3-მეტრს სიფართეში, სიღრმეში კი მეტი გაფანტვა აქვს. 3. ტრაექტორიის დაფენილობა 600 მეტრამდის; სწორადგილზე მისი ტრაექტორია მთლიანად აზიანებს დგომილა, ჩოქილა, და მხოხავ მიზნებს. 4. გადატანის სიადვილე. (იწონის მარტო 54 კილიგრამს). 5. ცეცხლის შედეგობა; უფრო ხშირად ვისვრით ამ იარაღიდან 800-1600 მეტრის მანძილზე — შეიძლება ზევითაც. სროლის დროს მანძილის სწორდაფასებას აქვს დიდი მნიშვნელობა და გავლენა მიზანში მოსახვედრად. მძიმე ტყვიამფრქვევი, მიუხედავად მისი ძლიერი ცეცხლისა, არ არის დამოუკიდებელი იარაღი; იგი ერთად მოქმედობს ფეხოსან ჯართან და ეხმარება მას.

ქვემოდ მოყვანილი ნახაზი იძლევა წარმოდგენას თუ როგორ უნდა იყვნენ დაწყობილი ტყვიამფრქვევები და მათი ცეცხლი დაჯგუფებული თავდაცვითი ბრძოლაში.




1. ორი მძიმე ტყვიამფრქვევი (სეცხლის ერთეული)
2. სეცხლის მიმართულება როდესაც მტერი უახლოვდება ჩვენს პოზიციებს პირველ ხაზში. 3. ეს ერთეული იძლევა სეცხლს როდესაც დაკავებულია მტრის მიერ რომელიმე გუნდი.
4. სეცხლის მიმართულება როდესაც მტერი ჯგუფდება შორს მანძილზე. 5. სეცხლის მიმართულება როდესაც მტრის მიერ დაკავებულია 1-ლი გუნდის სიმაგრეები.

6. შტოქსი. რომლის ადგილი არის უკანა ხაზში. 7. შტოქსის სეცხლი მიმართული იქ, სადაც ვერ სწვდება თოფის და ტყვ.მფრქვე. სეცხლი.

რათა ყველა სროლების სეცხლი კარგად იქნას გამოყენებული, საჭიროა წინდაწინვე მომზადება: ტყვიამფრქვევები დამაგრებულნი, მანძილები გამოჩნდებიან, მიმართულება იმ ადგილებისკენ საიდანაც მტერი გამოჩნდება—დაყენებული, ტყვიამფრქვევი გატენილი და კარგად დაფარული. გარდა ამისა უნდა იყოს დანიშნული ნიშანი, თუ რა ნიშანზე რომელი ერთეული სტეხს სეცხლს. ამოცანის საუკეთესოდ შესრულებისათვის საჭიროა კარგად მოწყობილი თვალ-დევნა მტრის მიმართულებით

შეტევის დროს ტყვიამფრქვევები ყოველთვის უნდა იქნენ გამოყენებულნი იმ ნაწილების დასახმარებლად (საკუთარ ნაწილების), რომლებიც აწარმოებენ შეტევას. ეს არის ტყვიამფრქვევის უმთავრესი ამოცანა შეტევის დროს.



როგორც ამ ნახაზიდან სჩანს, მტერი არის გამაგრებული პუნკტებში. 1, 2, 3, 4. ათასეული აწარმოებს შეტევას ამ პუნკტებზე. რადგან მარჯვენა გუნდს აქვს უფრო ძნელი ამოცანა, ათასეულის უფროსმა გადასწყვიტა პირველ ხანში იყოს მიმართული ძლიერი სეცხლი პუნკტებზე.—1, რომლის დაკავების შემდეგ გადააქვს სეცხლი პუნკტებზე—2, 4 და განსაკუთრებით მე-3-ზე რათა მისცეს წინ წაწევის საშუალება მარცხენა გუნდს. გვერდებზე მსროლელ ტყვიამფრქვევების ამოცანაა დაიპყრონ შემტევი გუნდების ფრთები.

უკანსელის (უკან დაიყვის) ბრძოლაში ტყვიამფრქვევების როლი არის რაც შეიძლება დიდ ხანს შეაჩეროს მტერი და

მისტენ საკუთარ ნაწილებს უკანსელის საშუალება; ამ გვარად, დიდი ყუ რადება უნდა მიექცეს შემდეგ ზომებს: 1. ტყვიამფრქვევები ყოველთვის უნდა იქნენ გაწყობილი სიღრმეში. 2. თავდაცვის ბრძოლაში ტყვიამფრქვევები იკავებენ რაც შეიძლება დაბალ ადგილებს, რათა არ იქნენ შემჩნეულნი მტრის მიერ; მხოლოდ ადგილი უნდა იძლეოდეს მიზნურად სროლის საშუალებას. 3. შეტევისა და დეენის დროს ისინი იკავებენ შესაძლებლად მაღალ ადგილებს, რომ შესძლონ საკუთარ ნაწილების თავზე სეცხლის გადასროლა. პირველ და მეორე შემთხვევაში არ უნდა იქნეს დავიწყებული ტყვიამფრქვევების მტრის ხედვისგან დაფარვა.

ფინლანდია შეიარაღებული ერი.

1917 წელს ბოლშევიკური რუსეთმა იცნო ავტონომიური ფინლანდია, ამ ცნობისდა მიუხედავად ბოლშევიკური ხელსუფლებამაინც სდილობდა გაეგრძელებია თავისი რეჟიმი ბალტიიდან ყინულოვან ზღვამდე. 1918 წ. ფინელმა წითლებმა ბოლშევიკ რუსების დახმარებით დაიწყეს შეტევა და მთელი ფინლანდია გახდა ბოლშევიკურ ანარქიის ასპარეზად.

დამსახურებულ გენ. მაუნერჰეიმის ძალების წყალობით მოელო ბოლო ამ საფრენს და 1920 წლის ოქტომბრის 14-ს მოსკოვმა და ფინლანდიამ მოაწერეს ხელი დორპატის ზავს.

ფინლანდიამ განიცადა კომუნისტური სიმახინჯის შედეგები და მას არ შეუძლია ამ ზავის იმედით სრულის სიმშვიდით მიეცეს-შინაურ ცხოვრების გარდაქმნის და განვითარების საქმეს. ვერ დაივიწყებს, რომ ბოლშევიკები მათი ბინის კარებთან დგანან და ამისთვის ფინლანდიამ საბოლოოდ გადაჭრა მშვიდობიანობის დროს „შეიარაღებული ერის“ საკითხი

ყოველი ფინელი, მხედარი თუ მოქალაქე, ითვლებანამდვილ ჯარისკაცად. მხედრები ექვემდებარებიან სამხედრო უფროსთ, მოქალაქენი კი ადგენენ „მოქალაქეთა გვარდია“ ს სრული ნებაყოფლობით.

ამ გვარდიაში ჩაწერას იწვევს ბოლშევიკებისადმი სიძულვილი და თავისუფლების სიყვარული. ფინელებს არ სჭირდებათ პაციფიზმზე და განიარაღებაზე ლაპარაკი—ეს გრძობები მათში უაღრესად განვითარებულნი არიან.

ამ „მოქალაქეთა გვარდიის“ უფროსად ამ ქამად არის გენ. მალბერგი. „გვარდია“ ჩამშულია, შეიარაღებულია, დისციპლინით გამსჭვალული, აღზრდილი და მომზადებულია. ყოველ წამს მზად არის შეავსოს რეგულიარული ჯარის რიგები.

„მთელი ჩვენი ახალგაზრდობა, ამბობს გენ. მალბერგი, ჩაბმულია სპორტიულ საზოგადოებაში. ომის გამოცხადებისას ეს საზოგადოებანი მთლიანად შედიან ჯარში. სპორტიული საზოგადოებანი არიან გამხედრებულინი. ჩვენი სპორტი არის საშუალება ახალგაზრდათა წინასწარი შეჩვევა-მოსამზადებლად ჯარისკაცის მოვალეობათა და მხედრულ ცხოვრებისათვის. სპორტში სრულებით არ არის განვითარებული ჯილდოების მიღების ფსიქოლოგია. ჯილდო-საჩუქარი უარყოფილია.

გვარდია შესდგება 400 აქტიური ოფიცერთა კადრისაგან, ჯამაგირით როგორც ჯარში ოფიცრებს და დაყოფილია 22 სექციად. 560 კაცი ზრუნავს თემების სექციებისათვის; თითოს თვიურად ეძლევა 400 მარკა. ესენი არიან მონხლენი ან სხვა დარგთა მუშაკნი. 250 სხვა პატარასექციების მოვალეობაა სამხედრო ცნობათა-მსწებათა გავრცელება მოსწავლე ახალგაზრდობაში.

ამნაირად ყოველი მოქალაქე გარდაიქმნება ჯარის-კაცად და ფინელ ერს სწამს რომ ამ სისტემის წყალობით შესძლებს მიეცეს მშვიდობიან ცხოვრებას.

„ჩვენ გავდივართ აგრეთვე მანევრებზედაც, განაგრძობს გენერალი, ყოველ წელს ჩვენი „გვარდია“ გადის მანევრებზე 10 დღით. გლახები იღებენ მონაწილეობას დაკარგულ დროის ფულით ანაზღაურებით; მუშებს ვაძლევთ მათ მიერ გამოტოვებულ მუშაობის საფასურს: მოხლეჩებს კი ეძლევათ ამ მანევრებისთვის კანონიერი შვებულება. მანევრები იწყობა შუა ზამთარში. ზამთრის მანევრების მიზანია: თავლში კარვების გაშლა, თმ კი „სკიზე“ მარხილებით ჯარის უზრუნველყოფა (სურსათი, ამუნიცია), გაყინულ შეშით ცეცხლის დანთება; თეთრი ჩაცმულობის თოვლთან შეფარდება შეუმჩნეველობისათვის და სხვა.

სანაპირო „გვარდიას“ ვასწავლით ნიშნების გადაცემას, არხიპელაგის გზებს, გამოქვაბულებს, საიდუმლო გზებს—საზღვრებისაკენ. ერთისი ტყვიით მთელ სტრატეგიას, ძალიან ძნელს, იმ ქვეყნის რომელიც ექვსი თვით მოსულიაყინულით და რომლის მოწინააღმდეგეც განსაკუთრებით მომზადებულია.

გვარდია აორებს (ორჯერ ადიდებს) ჯარს. მას აქვს იარაღი და მუნიცია. გვარდიას აქვს აგრეთვე ძალიან დიდი გავლენა მსხოვრებთა მორალზე, ჩვენს რიგებში მუშა და ბარონი მეგობრდებიან. ჩვენგან გამოსჭვივის დემოკრატიული გავლენის სხივები. უკანასკნელმა ალღუმმა 1929 წ. მაისის 16 ეს ნათელჰყო: საყვირის ხმაზე ყველა მამაკაცი 15 წლიდან 70-დე გამოვიდნენ თოფებით მხარზე“.

ფინელი ქალებიც არ სხედან ხელ-დაკრეფილნი. — „ქალთა არმია“ არ შეიცავს მეომრებს არამედ მეომართა მამშველს, — ამბობს „ქალთა არმიის“ უფროსი ქ-ნი ფანი ლუნკონენი.

— განმათავისუფლებელი ომის დროს „ქალთა არმიის“ წევრებმა გამოძებნეს იარაღი ჯარისათვის რაც საგრძნობლად ნაკლები იყო. იყიდეს რუსებისაგან ზარბაზნები, აგრ ავებდნენ ბრძოლის ველზე დაგდებულ თოფებს და თავის ხარჯით მოჰყავდათ ვარგისი მდგომარეობაში.

— ესლა ქალთა არმია გამოდის როგორც შინაური საქმის შემსრულებელი და მიჰყვება ხოლმე მამაკაცებს გაწვევაში და თვალ-ყურს ადევნებს მანევრებს. აგრთვებს ფულს „მოქალაქეთა გვარდიის“ ამუნიციის გასამრავლებლად. ეს ქალები არიან ამაყი სპორტის მოყვარულნი—პრანჭიობას მოკლებულნი. სამი მეხუთედი ფინელ ქალთა რიცხვისა 17 წლიდან ჩაწერილნი არიან „ქალთა არმია“ ში.— ჩვენ ვართ დაყოფილნი ოთხ სექციად. ჩვენი ორგანიზაცია არსებობს ყოველ პატარა მიყრუებულ სოფელშიც კი ლაპლანდიაში. ყოველ ჩვენ წევრს შეაქვს თავისი წვლილი თვიურად ათი მარკა.

—ჩვენ ვართ „მოქალაქეთა გვარდიის“ თანამშრომლები ზავის ხელის მოწერის შემდეგ ჩვენ ვმუშაობთ უსასყიდლოდ პირველ ნიშნისთანავე 50.000-ანი „ქალთა არმიის“ მზად არის შეასრულოს თავისი მოვალეობა მხედართ-მეომართ მაშველისა.

—ჩვენ არმიას არ აკლია გამბედაობა. ჩვენც ვახდენთ ზამთრის მანევრებს, ქალებიც, როგორც კაცები, იწვრთნებიან. „ქალთა არმიის“ წევრები სრულებით არ ცდებიან თავიანთ ოჯახს, ოჯახის მოვალეობებს. ჩვენი საქმე მათ ართმევს უმნიშვნელო დროს — მანევრებისთვის, კონგრესები, სთვის, კურსებისთვის. ამაში დაკარგული დრო უდრის ერთ თვეს წელიწადში. ფინელი ყოველი ქალი მზად არის გასწიოს ეს სამსახური. ცხადია ჩვენ მუშაობაში არ ვითრევთ პატარა ბავშვთა დედებს—ესენი სამაგიეროდ მუშაობენ ჯარის-კაცებში, ყაზარმებში.

—ქვეყნიერებაზედ არ არსებობს ამის მსგავსი რაიმე. მაგრამ ესტონია იწყებს წაბაძვას და შეედრეთმა, სადაც საკმარისად მოიპოვება კომუნისტები, გამოგზავნა ქალთა ჯგუფი ჩვენი ორგანიზაციის შესასწავლად მათ ქვეყანაში გადასამყენლად.

მეთვალყურე

სპორტის საკითხი

დღეს ყველასათვის ცხადი არის თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევენ სპორტის საკითხს სხვა და სხვა ერები და როგორი მუყაითობითა და ენერგიით უწყობენ ხელს მის განვითარებას თავ-თავიანთ ქვეყნებში. აშკარადღება რომ, სპორტის საშუალებით ჯარის გარეშე ტარდება დიდი მუშაობა ერის თავდაცვის საქმეში.

როგორც ცნობილია, სპორტი არის ხალხის გაჯანსაღების და გარდაქმნის ერთ-ერთი რადიკალური საშუალებათაგანი. ინგლისი ამის საუკეთესო მაგალითია. მხოლოდ სპორტით შესძლო ინგლისელ ხალხმა გადაერჩინა თავი გადაგვარებისაგან, რომელსაც უქადდა მას მისი ქვეყნის ბუნებრივი პირობები; დღეს, შეიძლება ითქვას, ისეთი გამძლე და გადამრავნი როგორც ინგლისის ერია, მეორე არ მოიპოვება.

სპორტს აქვს ეროვნული მნიშვნელობა და ერზე ახდენს დიდ მორალურ გავლენას. მისი საშუალებით ინერგება და ღრმავდება ეროვნული

გრძობები და სულისკვეთება. ჩეხეთის ერი ამის მაჩვენებელია. მიუხედავად ათასგვარი შევიწროებისა, რომელსაც ჩეხები განიცდიდნენ ავსტრო-ჰუნგრეთის ბატონობის დროს, მან შესძლო შეენარჩუნებია ეროვნული სახე და მებრძოლი სული დამოუკიდებელ ჩეხეთის შესაქმნელად; სპორტის წყალობით შეუძმწველად გადაიარა ჩეხელების თავზე ავსტრო-ჰუნგრეთის იმ პერიის გადაგვარების სისტემამ და ხელი შეუწყო ჩეხეთის დამოუკიდებლობის შექმნას.

სპორტი არსებობს ყველასთვის—მთელი ერისთვის; აკავშირებს და აახლოვებს სხვა და სხვა ფენების წარმომადგენლებს: გლეხი, მუშა, მხედარი და მოქალაქე, აქ არ განირჩევიან და მხარი-მხარ დგანან. სპორტი რაზმავს ერს ერთი იდეის ქვეშ და ანვითარებს ბრძოლის ჩასატარებლად აუცილებელ პირობებს: — დისციპლინის, ინიციატივის, აზრის და სხეულის მოქნილობას, მეგობრობას და თავის განწირვას. აქედან მხადია, სპორტში თან და თან უფრო მეტი მხედარული სული შეაქვთ რათა საქირო ეამს სწრაფად შესაძლებელი გახდეს მოვარჯიშეთა გაწრთვნილ ჯარში ჩარიცხვა.

«მეთოდითურად და ლოდითურად წარმოებული ფიზიკური აღზრდა— ამბობს საფრანგეთის ერის ფიზიკური აღზრდის დღევანდელი ხელმძღვანელი ბ-ნი ანრი პატე—ყოველ ახალგაზრდას შესძენს ჯანსაღობას, შემატებს ღონეს, განუმტკიცებს ნებისყოფას და დისციპლინას, დაუმკვიდრებს მორალურ მხარეებს, შეძლებას მისცემს გონებრივი-ინტელექტუალური განვითარებისას და, რასაკვირველია, ასეთი ახალგაზრდის ჯარისკაცად გარდაქმნა არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენს».

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში სპორტს მიექცა სათანადო ყურადღება და ჩვენს ქვეყანას მოედო სასპორტო ქსელი. საჭირო იყო კიდევ რამოდენიმე წელიწადი რომ ერის ფიზიკური და მორალური გაჯანსაღების საქმე საბოლოოდ დაძლეული ყოფილიყო; მაგრამ მოვიდა უცხო ძალა და მთელი ქართული სხოვრების გადატრიალებასთან ერთად «შევარდენი» მოხსნილ იქნა და ეს ეროვნული საქმეც გააუქმა.

მხოლოდ რა მდგომარეობაშია დღეს სამშობლოს მოწოდებული ქართული ახალგაზრდობა? ქართულ ემიგრაციას სხრა წელიწადი შეუსრულდა და ამ ხნის განმავლობაში ვერ შეუქმნია ვერც ერთი პატარა სპორტიული წრეც კი. მართალია მეტად მძიმე პირობებში უხდება მას სხოვრება და ეს დიდ დაბრკოლებად მოსჩანს, მაგრამ ამავე პირობებში სხვაერების ემიგრაციამ ეს დაბრკოლება გადალახა და სპორტიულ დარგში თვალსაჩინოდ დაწინაურდა. იმ შემთვევში თუ ქართული ემიგრაციის ყველა წრეები მეტ ყურადღებას მიაქცევენ ამ საკითხს და შეთანხმდებიან სპორტის

იდვის გარშემო, ყოველგვარ დაბრკოლების გარეშე სპორტის საკითხი სასურველად მოგვარდება, რითაც უდიდეს სამსახურს გაუწევინ ქართულ ახალგაზრდობას და ქართულ საქმეს.

ძველი შევარდნელი.

ცნობები

ქ. პარიზში დაარსდა ქართული სპორტიული საზოგადოება «შევარდენი». 10 დეკემბრის კრებაზე დამტკიცდა საზ-ბის წესდება და გამგეობა შეუდგა სხვა და სხვა გვარის სპორტიულ ჯგუფების მოწყობას.

„მხედარი“ სინარულითეგებება ამ მნიშვნელოვან საქმის დაწყებას როგორც ეროვნული აგრეთვე ახალგაზრდათა დღევანდელი მდგომარეობის თვალსაზრისით და გამოსთქამს იმედს რომ ქართული საზოგადოება მიაქცევს ყურადღებას ამ წამოწყებას და არ დაიშურებს თავის წვლილს ქართული სპორტის შესაქნელად და გასაძლიერებლად.

განმარტება:

ქართულ საზოგადოებაში აღელვება გამოიწვია ქართველ ფეხბურთელთა ვითომდა რუსულ სპორტიულ საზ-ბასთან შეერთება-შედულებამ.

კატეგორიულად ვასხადებთ, რომ ქართულ სპორტ. საზ-ბა «შევარდენს», რომელშიდაც შედიან ქართველი ფეხბურთელები, არავითარი კავშირი არ აქვს რუსულ სპორტ. საზ-ბასთან. ჩვენი საეზადოების არც ერთი წევრი არ ჩარიცხულა და არ ირიცხება რუსულ სპორტ. საზ-ბაში, ქართულ სპორტ. საზ-ბა „შევარდენი“ ს გამგეობა.

ბ-ნ ზ. ავალიშვილის წიგნი,

დაიბეჭდა და გამოვიდა ბ-ნ ზ. ავალიშვილის მეცნიერული შრომა «ღვაროსანთა დროიდან — თხი საისტორიო ნარკვევი». წიგნის ფასი 10 თრ

ბ-ნ ლეიტ. ივ. ქავთარაძის წიგნი.

ბ-ნ ლეიტ. ივ. ქავთარაძემ დასწერა პოლონურ ენაზე საქართველოს ისტორია, რომელიც დაიბეჭდა და გამოვიდა ვარშავაში გასული წლის დამლევს. პოლონური საზოგადოების ყველა წრეები დიდი მეგობრობითა და ყურადღებით ეპყრობა საქართველოს საკითხს და ამიტომ დიდი ყურადღებით და სიხარულით შეხვდა ამ კულტურულ საქმეს

სარედაქციო კოლეგია.

ფასი 3 ფრანკი.